სახალხო ფურცელი

№ 786 ხუთშაბათი 2 თებერვალი 1917 წ. № 786

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—20 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკან—20 კაპ., ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღირს 8 მან., 25×2 ღირს 10 მან. 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „ქართლში“ პუშკინისა და ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ძველი სასულიერო სემინარიისა და ღირება ერთი მანეთით მეტი,

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Пурцели“, поч. ящ. 190.

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: **სოფიო, ვერა, ნიკოლოზი და ლავრენტი ბარნაბიშვილები და სიძე მღვდელი ალექსი ელიზბარაშვილი შვილებითურთ** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ დღეს ორ თებერვალს მამადავითის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი პირველთა დაუვიწყარი და ძვირფასი დედის და უკანასკნელის სიდედრის

ეფემია გიორგის ასულის ბარნაბიშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი 12 საათზე.

შაბათს, 4 თებერვალს, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ალექსანდრე (ალექსი) ზებულის ძის გიორგობიანის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: მეუღლე ქეთევანი, რძალი ნინო და შვილები: პანტელეიმონი, ლუბა და კოლა.

ღრმად დამწუხრებული **ევტიხი იესეს ძე ვადაჭკორია პატარა თამარით, იესე ნიკოს ძე, ანნა ამბაკოს ასული, მარიამ იესეს ასული ვადაჭკორიები და სიძე მოსე მელიავა** მეუღლით, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 31 იანვარს 3 საათზე გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე, მეორის საყვარელი დედა, დანარჩენთა რძალი

ათინო ვადაჭკორია

პანაშვიდი 2 თებერვალს საღამოს 6 საათზე ლიხინის შესახვევი № 4. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე და დები: **ნადეჟდა ნიკოლოზის ასული, ანნა გაგენკოსი და მარიამი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 4 თებერვალს, 9 ს., გადახდილ იქნება, წლის წირვა და პანაშვიდი, პირველი საყვარელ და დაუვიწყარ მეუღლისა, ხოლო მეორეთა ძმის,

ესტატე (ტატო) ნიკოლოზის ძის კლიმიაშვილისა,

სოფ. რუისში, 2 თებერვალს. 1472

მარო ნიკოლოზის ასული იმნაძისა ქმრით და შვილებით, ევგენია კოლობოვისა, თამარ რცხილაძისა ქმრით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი დედა

ნატალია ოქრუას ასული თეთრაძისა.

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 ს. გამოსვენება პარასკევს, 3 თებერვალს, ამაღლების ეკლესიაში. დაკრძალვა იმავე ეკლესიის გალავანში. 86

ლუარსაბ დიმიტრის ძე მურვანიშვილი დედით, დებით და ძმებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მის ძვირფას მეუღლის

მარიამ მიხეილის ასულის მურვანიშვილის

გარდაცვალების წლის თავზე შაბათს, 4 თებერვალს სურამის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. 1179

ახალი დიდი **ცირკი** ახალი დიდი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთარი, ახლად შეკეთებ. **კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ.** 19.00

ხუთშაბათს, 2 თებერვალს, გაიმართება

გრანდიოზული წარმოდგენა

საუკეთესო ძალთა, სახელგანთქმულ მსახიობ ქალ-ვაჟთა მონაწილეობით, მსოფლიოში სახელგავარდნილ ადამიანების თამაშით. პროგრამა სატახტო ქალაქის ატრაქციონებისა. დღეს პირველად მონაწილეობენ თეთრი ადამიანები სახელგანთქმულ მოქანდაკეთა მოზინისა და ნაზანის მონაწილეობით. დღეს პირველად მხოლოდ ერთი კონცერტი რუმინელ კაპელისა ბ-ნ დიონესკოს დირიჟორობით. დღეს პირველად კორდებალეტი დღესასწაული რომში. გასტროლები მფრინავ ადამიანებისა, რომელთაც მთის არწივები უწოდეს. უკანასკნელი გასტროლები დანიელ მსახიობების ტრიო კორელლისა. უკანასკნელი, უეჭველად გამოსათხოვარი გასტროლი **მალოდია ზუზარიძისა.** გარდა ამისა მონაწილეობს დანარჩენი დასი.

ბავშვებო! თქვენი წარმოდგენა ხუთშაბათს, 2 თებერვალს იწყება 1 საათ. უნახავი სიურპრიზი ბავშვებისათვის! ყოველ მოზრდილს თავის ბილეთით შეუძლიან შეიყვანოს ცირკში უფასოდ **ორი** ბავშვი.

დღის წარმოდგენაში მონაწილეობენ ყველა გამოჩენილი მსახიობნი. მთელი საღამოს პროგრამა. უფასო სიურპრიზი ბავშვების პატარა ცხენებით.

დასაწყისი $8\frac{1}{2}$ საათზე.

ანონსი: პარასკევს, 3 თებერვალს გაიმართება ჯერ უნახავი ბენეფისი ერთად-ერთ სახელგანთქმულ მწვრთნელის ბ-ნ მანფელისა. ბენეფიციანტი ამზადებს ბევრ ახალ-ახალ რასმე. თვალყური ადევნეთ აფიშებს.

დღეს „ცისფერი ყანწები“ საღამოა

დაწვრილებით აფიშებში.

1012

ტელეფ. № 795. დილით **ქართული თეატრი** დილით წარმოდ. № 43.

(ახალ კლუბის შენობაში).

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ

ვ. გამყრელიძის მონაწილეობით

კვირას, 5 თებერვალს, 1917 წარმ. იქნება:

სამშობლო

დრ. 5 მოქ. დ. ერისთავისა

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: აბაშიძე, დავითაშვილი, ქილარჯიშვილი, შოთაძე ბ-ნნი: ბარველი, იმხნელი, გამყრელიძე, გვარამაძე, ფრონისპირელი, ზარდალიშვილი, თარალაშვილი, ჩაგუნავა.

დასაწყ. სწორედ დილის 12 ს. ◆ ადგილების ფასი 2 მ. 50 კ. ბილეთ. იყიდება თეატრის კასაში დილის 11—2 ს., საღ. 6—8 ს.

1028 რეჟის. ⁂ ადმინ. ქართ. დრამ. საზ.

საიმპერატორო სამუსიკო სკოლის დარბაზი

(გრიბოედოვის ქუჩა, № 8)

სამშაბათს, 7 თებერვალს—ორი მოხსენება:

I

გერონტი ქიქოძე:

„ნიკოლოზ ბარათაშვილი“

II

ი. გრიშაშვილი:

„საიათნოვა როგორც ერეკლე მეფის კარის მგოსანი“.

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათსა და 15 წუთზე. ადგილების ფასი 2 მან. 50 კ.-დან 50 კ.-მდე. ბილეთები ამ თავითვე იყიდება საჩაიე „ძმურ ნუგეშში“. 1039

პ. ი. ზუბალაშვილის სახელ. ქ. სახ. სახლი

სახ. სახ. არს. ქართულ წარმოდგენ. მმართ. წრის მიერ

შაბათს, 4 თებერვალს, 1917 წ.

სახალხო სცენაზე ნიკო გოცირიძის 20 წლის მოღვაწეობის

აღსანიშნავად გამართულ იქნება

სადღესასწაულო საღამო

წარმოდგენილი იქნება:

I **ტარტიუფი** მოლიერისა მე-3 და მე-4 მოქმედ.

II **მსხვერპლი** ი. გედევანიშვილისა 1-ლი მოქ.

III **მილოცვები.**

IV **ხანუმა** ა. ცაგარლისა მე-2 მოქმედ.

მონაწ. მიიღებენ წრის ყველა სცენის მოყვარენი და თანამშრომელნი. **დასაწყ. საღამ. სწორედ 8 ს.** ადგ. ფასი 10—59 კ. ბილეთ. კასა ღიაა ყოვ.-დღე დილ. 12—2 ს. და საღ. 6—8 ს. ◆ შემდეგი წარმოდგ. 7 თებერვ.

რეჟის. კ. მათიაშვილი. ქარ. სახ. წარ. წრ. ადმინ. 10

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 163, საზამთრო შენობა).

დღეს, 2 იანვარს, 1917 წელს.

საზანდარი, სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკესტრი.

პარასკევს, 3 იანვარს,

სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკესტრი

დასაწყისი საღამოს 8-ნახევარ. სტუმრები საზოგადო წესით. 1002

ქუთაისის

მიხეილის სათავად-აზნაურო

სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ბანკის წესდების მე-80 მუხლის თანახმად,

საარჩევნო კრებები

ხსენებულ ბანკის მსესხებელთა

დანიშნულია ქალ. ქუთაისში, ბანკის სადგომში, პირველ რიგის მსესხებელთათვის 25, მეორე რიგისა—26 და მესამისა—28 თებერვალს ამა 1917 წელს, დილის 10 საათზე. იმავე წესდების მე-84 მუხლის შენიშვნის თანახმად, საარჩევნო კრებები კანონიერად ჩაითვლება, რამდენი კაციც უნდა დაესწროს. 1040.

დღესასწაულისა გამო „სახალხო ფურცლის“ შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 4 თებერვალს.

მაუდეულობის ქარხანა

ვორონცოვის ქ., № 55, ს. ენფიანჯიანცისა.

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ ბ-ნთ ვაჭრებს, ადგილობრივსა და პროვინციელებს, რომ მე დავამზადე

დიდძალი შავი მაუდი

168 პატივისცემით **ზ. მ. ქეროღლიანი.**

ბახმაროს ჯ. გამგეობა ამით აცხადებს წელს მსურველ მოაგარაქეთა საყურადღებოდ რომ წინ და წინ ჩაეწერონ

ამხ. „ჯამთელობის“

კოოპერატივის წევრებად, წინაალმდეგ შემთხვევაში ვერ მიიღებენ პირველ საჭირო საგნებს საამხანაგო სავაჭროებისაგან. ფულის რაოდენობა განისაზღვრება 6 მანეთით, ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით. ჩოხატაურში აფ. ცინცაძეს ბ. ჯ. გამგეობა 1184

ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგად. კავშირის კანტორა

(კრილოვის ქუჩაზე სახლი, № 10 ბერკოვიჩისა)

აცხადებს მომხმარებელ საზოგადოებათა საყურადღებოდ, რომ 1) რკინ. ს გზაზე ხშირად დიდხნობით აჩერებენ ჩაბარებულ საქონელს, რის გამოც მომხმარებელთა საზოგადოებებს უგვიანდებათ დაკვეთილი საქონლის მიღება. 2) უბიოდ საქონელი არ იგზავნება, 3) კავშირმა მიიღო ერთი ვაგონი ნათხოვნი შაქარი ტფილისის გუბერნიისათვის. 2041

ექიმი

შ. მიქელაძე

მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 171.

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებს საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიშვილისა. ტელეფ. 5—77. 1059

ექიმი

ზ. მესხელიშვილი

იღებს ავადმყოფთ დილის 12 [illegible] მარჯანიშვილის ქ. № 6.

ექიმი

მ. დ. წინამძღვარიშვილი

ყოფილი ორდინატორი ფერაპევტიული კლინიკებისა, ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტისა. შინაგანი სნეულებანი. **გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად.** იღებს საღ. 5—7 ს.-დე, ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ., № 36, მეორე სართული. 1061

ექიმი კბილისა

ნინო რეხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 სა. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა კირპიჩნი ქუჩის შესახვევის 21

ექიმი

თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი კიროჩნი ქ. 18. 1391

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის

დოქტორი

გ. ბ. მეჰრაბიანცი

შინაგან ავადმყოფობა—ძლიერ გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრ. კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, აგრეთვე ყოველგვარი ფტიზიოთერაპიით და ელექტრონით. თავის დოში ვენის ტიპისა, დიდი სოლენოიდი, **განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, არტერიოსკლეროზის,** თირკმლების და ღვიძლის სნეულებ. სისხლის ნაკლებობისა, უძილობისა, ხერხემლისა სისუსტის, ასთმისა, ბუასილის და რევმატიზმის დროს. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღ. 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელეფ. № 7—92. 868

ექიმი ქალი

ს. ზ. მირზოევი

[illegible] ტფილისის ქალთა საავადმყოფოსი.

იღებს ქალთა სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევს $1\frac{1}{2}$—$2\frac{1}{2}$ საათამდე, კვირა დღის გარდა. [illegible] № 1. ტელეფონი № 16—67 1409

საექიმო კაბინეტი ექიმ

კ. ს. ფონ-ირტელისა

სპეციალისტი ქირურ., საშარდე-სასქეს., სიფილისის, ვენერიული და კანის (გასივება, ბუასილი, მუნცობა, შედეგი ონანიზ. და სიფილ., თირკმელების, ავადმყ.), **წამლობა სიფილისისა ერლიხის პრეპარ.** „914“ და „606“ და ელექტრონით. ორივე სქესის ავადმყოფებს იღებს 9—12 ს. და საღ. 4—8 ს. მიხეილის ქ. 128 შესახვ. კრილ. ქ. 1, მეორე კარი. 1352

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. **ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1060

ექიმი

კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა № 4. სასტუმრო ვერცელის გვერდით ტელეფ. 15—00. 1371

ექიმი

ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს ახალ ბინაზე, საღამოს 6—7 საათამდე, კვირა დღის გარდა. [illegible] ტელეფონი 6—54. 1144

ექიმი

გ. ბ. ნარიმანოვი

ვენერიულ, კანის, თმის ცვენის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე საღ. $5\frac{1}{2}$ ს.-დან 8 ს.-მდე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. 16—17. 457

ტფილისი, 2 თებერვალი, 1917 წ.

მოეჯადოებულ წრეში.

ძველად იტყოდნენ: თუ მშვიდობიანობის კარგად დაცვა გსურს ემზადე ომისთვისო. ახლანდელმა ომმა ბევრი რამ შესცვალა, მრავალი იდეა დამარხა, ხოლო მრავალიც წარმოშვა. მაგალითად, აღმოჩნდა, თუ რა დიადი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მებრძოლ სახელმწიფოებისათვის შინაურ ცხოვრების მოწესრიგებას და გამაგრებას. სრულიად სამართლიანად ზემონსენებული თქმა დღეს შეგვიძლიან ასე შევცვალოთ: თუ ომის კარგად წარმოება გსურს, ემზადე მშვიდობიანობისათვისო.

ეს ჭეშმარიტება თითქოს ყველამ შეიგნო, ყველა მებრძოლმა სახელმწიფომ შესაფერი ნაბიჯი გადასდგა შინაურ ცხოვრების გასაუმჯობესებლად და ჯარის ზურგის გასამაგრებლად. საფრანგეთმა, ინგლისმა, გერმანიამ მთელი თავისი ერი გააერთიანა მტრებთან საბრძოლველად და საოცარი ერთსულოვნობა შექმნეს. მხოლოდ ერთი გამონაკლისია ამ სახელმწიფოებში, რომელსაც ძალიან ღრმად შეუთვისებია ბრძნული ანდაზა; ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო. ეს არის ნახევრად აბსოლიუტური, ნახევრად ფეოდალური და მთლად კი რეაქციონური რუსეთი, უკეთ მისი მმართველი ბიუროკრატია. მისთვის ომის გამოცდილებას სრულიად არა უსწავლებია რა და არც არაფერი დაუვიწყებია. იგი ისევ ძველებურად განაგრძობს რუსის ხალხთან ბრძოლას,

ტივას.

გეთმა თავის ერის საზოგადოება გააერთიანეს მტერთან საბრძოლველად, რუსის ბიუროკრატიამაც სასწაული მოახდინა: მან არაჩვეულებრივის სიმტკიცის, ერთსულოვანი კავშირი გამოიწვია საზოგადოების ძალებისა, გააერთიანა ისინი, ხოლო არა მტრის, არამედ თავის წინააღმდეგ.

მართლაც დიდი იყო აღფრთოვანება ომის პირველ ხანებში. მაშინ სათათბიროს ისტორიულ სხდომაზე კერენსკიმ ამინისტია მოითხოვა. გაზეთებმაც იწყეს ამის შესახებ ლაპარაკი. მაგრამ დღეს ამის თაობაზე ლაპარაკი ისეთ ცუდ ტონად არის მიჩნეული, ისე უდროულად, რომ ხსენებული სიტყვაც კი დაჰვიწყებია ყველასა. ამავე სხდომაზე რუსეთში მცხოვრებმა ყველა ერმა თავისი ლოიალობა გამოიჩინა და ომში მონაწილეობისთვის მოუწოდა მოძმეებს. მაგრამ დღესაც ყველა ისევე განიცდის ბიუროკრატიულ გამარუსებელ პოლიტიკის სიმწარეს, რანაირადაც წინად. ერთი სიტყვით, ყველაფერი იცვლება, უცვლელია მხოლოდ რუსის ბიუროკრატია, თუმცა მინისტრები თავიანთ თანამდებობის დროებით სტუმრებად გადაქცეულან და მიდი-მოდიან.

ამჟამად აპირებდნენ ერობათა და ქალაქთა კავშირის ყრილობის მოწვევას. ყრილობისავე ნებართვას თხოულობდნენ ვაჭარ-მრეწველნი. მუშათა განსაკუთრებულმა თათბირმა დაადგინა: ნება მოგვეცეს ჩვენც სრულიად რუსეთის მუშათა ყრილობა მოვახდინოთ, რათა სახელმწიფოს დაცვის ორგანიზაციებში უფრო მეტი მონაწილეობა მივიღოთო. მთავრობამ არც ერთს ნება არ დართო, როცა ვაჭარ-მრეწველნი კერძო ბინაზე, ცნობილ რიაბუშინსკისთან პოლიცია ეწვიათ და დაშლა მოსთხოვათ.

ცუდათაა სურსათ-სანოვაგის საქმეც. ნაპოლეონი იტყოდა: ჯარი მარტო იარაღით კი არა, კუჭითაც ებრძვის ერთმანეთსაო. ჩვენ ბრძოლის ველს არ შევეხებით, შინაურობას მოგახსენებთ. რუსეთი, პურის ქვეყანაა და ეხლაკი მთელი ქალაქებია, რომელთაც თეთრი პური დიდი ხანია თვალითაც არ უნახავს, დონის-როსტოვში საბარათო სისტემა შემოიღეს და თითო სულზე დღეში ორ გირვანქა პურზე მეტს არგასცემენ. რუსეთი ხელუხლებელ ტყის ქვეყანაა და ბევრგან კი ისეთი უშეშობაა, რომ მცხოვრებლები სიცივით იხოცებიან და საწვავ მასალის უქონლობის გამო მრავალ ადგილას ჩერდება მოძრაობა ტრამვაებისა, ან ძლიერ მოკლდება და სულ ასე და ამნაირად; ხოლო მთავრობა ყოველ საზოგადოებრივ ძალებს, ვინც ამ საქმეებში ჩარევას მოინდომებს, თავგამოდებით ებრძვის.

ეხლა სათათბიროს იმედი აქვთ, რომელიც თორმეტ თებერვალს უნდა შეიკრიბოს. ისიც არ იციან ხეირიანად, დიდხანს გასტანს სესია თუ რაიმე შტემპელის დასაკვრელად მოირაწვევენ ხალხის წარმომადგენლებს. ყოველ შემთხვევაში მთავრობა არაფრისათვის ემზადება და არც ანგარიშს უწევს სათათბიროს. უეჭველია იგი ძველი ბაგაჟით წარსდგება და თუ სათათბირო გაჯიუტდება—მისი დათხოვნა ხომ ძლიერ გაადვილებულია.

ომის გარშემო

ომის დღიური

ბრძოლის პირებზე კვლავ სრული სიწყნარეა და მოქმედება მიყუჩდა. მხოლოდ დასავლეთის ასპარეზზე, ინგლისელების ბრძოლის პირით უმნიშვნელო, ადგილობრივ ხასიათის, კერძო შეტაკებანი ხდება და ინგლისელებმა ზოგ ალაგას ოდნავ წინ წაიწიეს.

ზღვაში გერმანია ბლოკადას ანხორციელებს და გუშინდელ დეპეშის ცნობით კიდევ ოთხი გემი ჩაუძირავს. ამ რიგად წინად დაღუპულ 33 გემს კიდევ ოთხი მიემატა, ასე რომ ოთხ დღეში სულ 37 გემია დაღუპული, მათ შორის ბევრი ნეიტრალურ სახელმწიფოთ ეკუთვნის, მაგრამ უმრავლესობა მაინც ინგლისის და საფრანგეთისაა. ევროპის ნეიტრალური სახელმწიფონი, როგორცა სჩანს, შეურიგდნენ გერმანიის მიერ გამოცხადებულ ბლოკადას და ამჟამად მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ ბლოკადის სიმწვავე როგორმე შეიმსუბუქონ. ნორვეგია და შვეცია უკვე ზომებს ღებულობენ, რომ ქვანახშირის და სანოვაგის ეკონომია გასწიონ და ხალხი დამშევას გადაარჩინონ.

საგულისხმიეროა ინგლისურ გაზეთების ამერიკელ კორესპონდენტების ცნობა, რომ ამერიკის მთავრობა, გინდაც რომ ამერიკა აქტიურად ჩაერიოს ომში, ყველაფერში არ შეუთანხმდება ოთხთა შეთანხმებას და არავითარ შემთხვევაში იმ მოვალეობას არ იკისრებს, რომ არავითარ შემთხვევაში სეპარატიული ზავი არ შეკრას. ამერიკა მხოლოდ თავის გემებს დაიცავს და სხვა აქტიურ ოპერაციებს არ აწარმოებსო. რეალური და კონკრეტული ნიშნები არ არის, რომ ამერიკა მაინც და აინც ომს აპირებდეს: პირიქით სხვა და სხვა ცნობები რომ ერთი მეორეს შევადაროთ და ავწონდავწონოთ, თითქმის აშკარა გახდება ჩვენთვის, რომ ამერიკა ამა თუ იმ გზით განაგრძობს მოლაპარაკებას გერმანიასთან და თუ უკანასკნელმა ცოტა მაინც დაუთმო წყალქვეშ ბრძოლაში, ადვილად შესაძლებელია, რომ ამერიკა აღადგენს მასთან დიპლომატიურ ურთიერთობას; მით უმეტეს, რომ გამოირკვა: ნეიტრალური სახელმწიფონი არ გაჰყვებიან ამერიკას და გერმანიას არ აუმხედრდებიან.

ზ—გა—ლი.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი, 31 იანვარი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. სროლა და მზვერავთა თარეშია.

რუმინიის ბრძოლის პირი. ინგლისლების ჯავშნოსანი ავტომობილები ორჯელ მიუახლოვდნენ მოპირდაპირის პოზიციებს სერეტის შესართავის რაიონში და ყუმბარა დაუშინეს.

კავკასიის ბრძოლის პირი. ცვლილება არ მომხდარა.

დასავლეთის ასპარეზი

პარიზი, 30 იანვარი. ცნობა საღამოთი. ბეზანჟის რაიონში დაჭფოგეზის რამდენიმე ადგილში ორივე მხრით არტილერია დროგამოშვებით სროლას აწარმოებს. დანარჩენ ბრძოლის პირით დღემ მშვიდობიანად ჩაიარა.

პარიზი, 31 იანვარი. ცნობა დილით. მთელი ბრძოლის პირით ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. სროლით განვდევნეთ გერმანელების ცხენოსანი რაზმი ანშპახის რაიონში და ზარალი მივაყენეთ.

ლონდონი, 30 იანვარი. ოფიციალური ცნობა 29 იანვარს. კვლავ ვაწარმოეთ მარჯვე ოპერაცია: უკანასკნელ ღამეში ანკრის ჩრდილოეთით დავიპყარით მოპირდაპირის თხრილები 1200 მეტრის სიგრძისა სერის მაღლობის სამხრეთით. დავატყვევეთ 215 კაცი, რაიც აღემატება ჩვენს ზარალს. მოპირდაპირის რაზმი, რომელიც ჩვენს პოზიციის უახლოვდებოდა საი-საიზელის სამხრეთით, სროლით უკუვაქციეთ. ღამით შევიჭერით მოპირდაპირის თხრილებში ლეპის მახლობლად, ლა-ბასეს არხის სამხრეთ-დასავლეთით, აგრეთვე ნევშაპელის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ფოკისარის სამხრეთით, ზარალი მავაყენეთ მოპირდაპირეს, სანგრები დაუნგრიეთ და ტყვეები წამოვასხით.

ლონდონი. 31 იანვარი. ცნობა 30 იანვარს საღამოთი. გუშინღამ ანკრის ჩრდილოეთით, ბოკურ-პუიზიეს გზის მახლობლად, კვლავ წინ წავიწიეთ და 600 იარდის თხრილი ადვილად დავიპყარით, რამდენიმე კაცი დავატყვევეთ. გუშინ საღამოს სერის მაღლობის სამხრეთით გერმანელებმა იერიში მოიტანეს, მაგრამ სროლით მოვიგერიეთ. დანარჩენ ადგილებში ადგილობრივ ხასიათის შეტაკება და არტილერიის სროლა სწარმოებდა.

წყალქვეშ ბრძოლა

ლონდონი. 30 იანვარი. ცნობაა, რომ ჩაძირულნი არიან: ინგლისის გემი „სელექი“, ჰოლანდიისა „დიოაი“ და საბერძნეთისა „ბრაზილია“ და „ოლლა“.

სტოკჰოლმი. 30 იანვარი. რუსეთსა და შვეციის შორის მიმოსვლის გასაუმჯობესებლად განზრახული ბორნებით მიმოსვლა მოეწყონ კაპელსკრონის და ბალტიის ზღვის შუა.

ჰააგა. 30 იანვარი. ნიდერლანდიის მთავრობა აცხადებს, რომ ნეიტრალიტეტის ძალით, უცხოელი სამხედრო გემები. დაზიანების გამო ჰოლანდიის ნავთსადგურებში შემოსულნი, შეკეთების დამთავრების უმალ, ვალდებულნი არიან ნავთსადგურები დასტოვონ.

ამის და მიხედვით მთავრობამ აღნიშნა რა შეკეთება სჭირია გერმანიის ნაღმოსანს „ვ, 169“-ს. მის მეზღვაურებს ჰოლანდიაში დააკავებენ.

ელჩის მოსვლა

ბერნი (შვეიცარია), 30 იანვარი. ამერიკის ელჩი ბერლინიდან ჯერარდი 29 იანვარს აქ მოვიდა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

საერთო მდგომარეობა.

სამხედრო ავტორიტეტები აღნიშნავენ, რომ ბოლო დროს ბრძოლის პირებზე არაჩვეულებრივი სიწყნარე ჩამოვარდა, მხოლოდ ზოგ ალაგას მზვერავთა უმნიშვნელო შეტაკება ხდება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოპირდაპირე საბოლოოდ მოგერიებას დაადგება. მეტად ძნელია მისთვის დღევანდელ პირობებში საოპერაციო მიმართულების არჩევა და ამიტომ უნდა მოველოდეთ, რომ იგი დასავლეთის ასპარეზით დაიწყებს მკაცრ შეტევას, მიუხედავად იმისა, რომ ვერდენის ბრძოლამ დაამტკიცა ასეთი შეტევის უნაყოფობა. იტალიის და სალონიკის ბრძოლის ასპარეზები მეტად დაშორებულნი არიან გერმანიასთან და გერმანიისათვის აქ რთულ ოპერაციაში ჩაბმა სახიფათოა. თუ ფრანგებმა შეტევა დაიწყეს სალონიკის ასპარეზით, გამარჯვებაც კი საგრძნობ შედეგს ვერ მოუტანს გერმანიას, გარდა იმისა, რომ საბერძნეთი აშკარად მიემხრობა. მაგრამ საბერძნეთის მიმხრობა უფრო გაურთულებს გერმანიას საქმეს, რადგანაც საბერძნეთიც მისი გამოსაკვები გახდება.

გერმანიის მძიმე არტილერია.

„რუსკი ინვალიდ“-ში ესპანიურ ჟურნალიდან მოყვანილია ცნობები გერმანიის მძიმე არტილერიის ორგანიზაციაზე. რადგანაც მძიმე არტილერია თანამედროვე ომში დიდს როლს ასრულებს, მოგვყავს ეს საინტერესო ცნობები. გერმანიის მძიმე არტილერია სამ დარგად არის დაყოფილი: 1) საკორპუსო არტილერია, 2) არმიის არტილერია და 3) საალყო არტილერია. საკორპუსო მძიმე არტილერია, ე. ი. არტილერია, რომელიც ყველა კორპუს თან სდევს, შესდგება 4,1 და 5,1 დუიმიან გაუბიცებისაგან (მოკლე ზარბაზანი). პირველი ისვრის 36 გირვაქიან და მეორე 96 გირვანქიან ყუმბარას. თითო ზარბაზანს ატარებს 6 ცხენი და ეს არტილერია როგორც საველე ქვეითა ჯარს ყველგან დასდევს. არმიის მძიმე არტილერია შესდგება 5,1, 5,9ʻ 7,5 დუიმიან ზარბაზნებისაგან, რომელნიც 14—18 ვერსზე ისვრიან ყუმბარას, და 9 7,2 დუიმიან მორტირებისაგან (სულ მოკლე ზარბაზანი), რომელიც 9 ვერსზე ისვრიან. თითო ამ ზარბაზანს ატარებს 10—12 ცხენი და იმართება განსაკუთრებულ დაზგაზე. საალყო მძიმე არტილერია შესდგება 11,12 და 17,5 დუიმიან მორტირებისაგან, რომელნიც მეტად შორს ისვრიან. მათი ტარება ან ავტომობილებით ან და რკინის გზით შეიძლება, განსაკუთრებულ პლატფორმიზებზე. რაც უფრო დიდი ყალიბისაა ზარბაზანი მით უფრო ნაკლებჯერ ისვრის და მალე ზიანდება მისი ლულა. მაგალითად 13,4 დუიმიან ზარბაზანს მხოლოდ 120 ჯერ შეუძლიან გასროლა, მაშინ როდესაც 6 დუიმიანი 785 ჯერ გაისვრის. 3 დუიმიან ზარბაზანს თითქმის განუსაზღვრელ ჯერ შეუძლიან გასროლა; 2500 გასროლის შემდეგ ასეთი ზარბაზანი კიდევ გამოსაყენი იყო.

საბერძნეთში.

მართალია მთავრობამ დაითხოვა სათადარიგო ჯარის კაცები და სიმხედრო კავშირები ვითომ მოსპო, მაგრამ უკანასკნელნი მაინც თავისას არ იშლიან. გუნარისის პარტიის მომხრე სათადარიგო ჯარის კაცები იმუქრებიან კვლავ ამბოხებას მოვახდენთ, თუ მთავრობა კიდევ რასმეს დაუთმობს ოთხთა შეთანხმებასაო.

შეერთებულ შტატების სამხედრო გეგმა.

ლონდონიდან „ბირჟ. ვედ.“-ის ატყობინებენ: აქაური გაზეთების ამერიკელი კორესპონდენტები აფრთხილებენ ოთხთა შეთანხმებას, იმედი ნუ გექნება რომ ამერიკა ომში ჩაერიოს და არავითარი პირობები არ დასდოსო. გარდა იმისა რომ ამერიკა ომისთვის მზად არ არის და მეტად დაშორებულია ბრძოლის ასპარეზებს, ამერიკის მართველი წრეები უპირველეს ყოვლისა მხოლოდ თვით ამერიკის ინტერესებს გაუწევენ ანგარიშს და არასოდეს არ მოაწერენ ხელს ლონდონში შეკრულ პირობას, რომ სეპარატიულ ზავს არ შეკრამენ. ნიუ-იორკის გაზეთების ცნობით ვილსონი მეტად შეზღუდავს სამხედრო მოქმედებას და მხოლოდ მოგერიებითი და თავდაცვის ტაქტიკით შემოფარგლამს. მთელი მოქმედება იმაში გამოიხატება, რომ კომერციულ და სამგზავრო გემებს მცველად გაჰყვებიან სამხედრო გემები. ვილსონს იმედი აქვს, მორალური ზეგავლენით გერმანიას ხელს აალებინებს ულმობელ წყალქვეშ ბრძოლაზე. თუ გერმანია მოახერხებს და რამდენიმე ხნის განმავლობაში მაინც თავიდან აიცილებს ამერიკის გამოსვლას, ვილსონი გარეგნულ ნეიტრალიტეტს დაიცავს. კორესპონდენტების აზრით აუცილებლივ საჭიროა ოთხთა შეთანხმებამ დაჟინებით მოსთხოვოს და გამოარკვიოს ამერიკის ნამდვილი გულისზრახვა.

ამერიკაში დაკავებული გერმანიის გემები.

ლონდონიდან ცნობა მიუღიათ, რომ მიუხედავად მიღებულ ზომებისა და ფხიზელი თვალყურის გდებისა დატყვევებულ მრავალ გერმანულ გემებიდან მანქანები მოუპარავთ. მარტო გემ „ფატერლანდიდან“ წაღებულ მანქანების ღირებულება ერთ მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს (თითქმის 12 მილიონ მანეთზე მეტია). ზარალის საერთო რიცხვი 6—7 მილიონი გირვანქა სტერლინგია.

ბრაზილიის სენატორის აზრი.

პარიზიდან „ბირჟ. ვედ.“-ის ატყობინებენ: აქ მყოფმა ბრაზილიის სენატორმა მაშადომ „ჟურნალში“ წერილი მოათავსა და ამტკიცებს: ბრაზილიის მთავრობა არ ეთანხმება იმ აზრს, ვითომ გერმანიას არ შეეძლოს თავის ბლოკადის განხორციელება და მუქარის აღსრულება. თუ გერმანია ბლოკადის მაგიერ მხოლოდ მეკობრეობას შეუდგება, მაშინ ბრაზილია არ დააყოვნებს და შეერთებულ შტატებს მიემხრობა.

ჰელფერიხის განცხადება

კოპენჰაგენიდან „ბირჟ. ვედ.“-ის ატყობინებენ: „ბერლინგსკე ტიდენდე“-ს შერილინდან დეპეშით აცნობებენ, გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრს ჰელფერიხს ნორვეგიელ ჟურნალისტისათვის უთქვამს, რომ ულმობელი წყალქვეშ ბრძოლა გერმანიისათვის ერთად-ერთი საშუალებაა, რომ ზავი მალე ჩამოვარდეს. გერმანიას კარგად ესმის, რომ ბლოკადა დიდს ზარალს აყენებს ნეიტრალურ სახელმწიფოებს, მაგრამ მიუხედავად ამისა გერმანიის გადაწყვეტილება შეურყეველია.

ოსმალეთის ახალი ჯარი

იასიდან „ბირჟ. ვედ.“-ის ატყობინებენ: ამას წინად გამოქვეყნებულ კანონის ძალით, რომლითაც აკრძალულია სამხედრო ბეგრის გადახდის მაგიერ ფულის გადახდა, ახალ ჯარს აგროვებენ 19—30 წლამდე. ერთი ამ რიგად შედგენილი დივიზია დობრუჯაში გაგზავნეს. კიდევ რამდენიმე დივიზიას ადგენენ. იარაღი და ტანთსაცმელი ავსტრიიდან მოსდით.

ცვლილებანი ოსმალეთის მთავრობაში

კოპენჰაგენიდან „ბირჟ. ვედ.“-ის ატყობინებენ, რომ ბერლინის პრესის აზრით თალაატ-ფაშის პირველ ვაზირად დანიშვნა ახალგაზრდა ოსმალთა პარტიის გაძლიერებას ნიშნავს. თალაატ-ფაშა ოსმალეთის და გერმანიის მჭიდრო კავშირის შემქმნელია.

გერმანიის გეგმა.

სტოკჰოლმიდან „ბირჟ. ვედ.“-ის ატყობინებენ: ქრისტიანიიდან იუწყებიან, რომ ცნობებია, გერმანია შეტევას დაიწყებს დასავლეთის ასპარეზით არა უგვიანეს თებერვლის ბოლოში (ახ. სტილით). გერმანიაში თითქმის ქუდზე კაცი გაიწვიეს ჯარში და დიდძალ ჯარს გზავნიან დასავლეთის ასპარეზზე. გერმანიაში საგარნიზონო სამსახურს გასწევენ ოსმალეთში მოგროვილი ახალი ჯარის კაცები.

ახალი ამბავი

◆ **მეფის ნაცვლის განცხადება.** კავკასიის მეფის ნაცვლის შემდეგი განცხადება გამოაქვეყნეს: თუ ისეთ დაწესებულებების მოსამსახურეენი, რომელნიც სახელმწიფოს დაცვის საქმეს ემსახურებიან, სამსახურს თავს დაანებებენ და გაიფიცებიან, რუსეთის ქვეშევრდომ-ქრისტიანი ჯარში გასაწვევთ, რომელთაც ამ სამსახურის გამო შეღავათი აქვთ მიცემული—მაშინვე შეღავათი მოესპობათ და ჯარში წაიყვანენ. რუსეთის ქვეშევრომი მაჰმადიანებიც, 1916 წლის 25 ივლისის კანონის თანახმად, გადაეცემიან სამაზრო სამხედრო უფროსის ხელში და წაიყვანენ საფრონტო და სამხედრო მუშაობის შესასრულებლად. სპარსეთის ქვეშევრდომნი კი სპარსეთში გაიგზავნებიან და რუსეთში დაბრუნება ეკრძალებათო.

◆ **საზოგადოებრივ კლუბში** მომავალ შაბათს წაკითხული იქნება რამდენიმე მოხსენება შექსპირისა და სერვანტესის ნაწარმოებთა შესახებ.

◆ **ებრაელთა საქველმოქმედო საზოგადოებას** გუბერნატორმა ნება დართო, გამართოს 25 თებერვალს საარტისტო საზოგადოების შენობაში საქველმოქმედო საღამო.

◆ **„იმედი“-ს საზოგადოების** თავმჯდომარეს ნინო ყიფიანს გუბერნატორმა ნება დართო, სადილობის დროს ღვინო გაყიდოს ხოლმე საზოგადოების სასადილოში, რომელნიც მოთავსებულია სასულიერო სემინარიის ძველს შენობაში. თვითეულ კაცს უნდა მიეცეს არა უმეტეს ნახევარ ბოთლის ღვინისა.

◆ **ნათლულის კოოპერატივის** დამფუძნებელი კრება 29 იანვარს გაიმართა. გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: ო. ი. გალუსტოვი, დ. თ. ჩიჯავაძე, მღვდელი მ. კარბელაშვილი და ს. მ. კოშკელიშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ნ. ე. წვერავა და თ. თამამშევი.

◆ **ეკატერინე ივანეს ასულ სარაჯიშვილის მიერ ნაანდერძევ ფულით** ქალაქის გამგეობა საქიმიო პავილიონით მოწყობას აპირობს ნავთლუღში.

◆ **მდივნის თანაშემწის არჩევა** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ კიდევ ერთის კვირით გადასდო.

◆ **ვალერიან გუნიას საიუბილეო კომიტეტში** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ თავის წარმომადგენლად აირჩია გიორგი ცინცაძე.

◆ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების განყოფილება სარიყამიშშიც** გაიხსნება ამ მოკლე ხანში.

◆ **სასწავლებლებში.** ზუგდიდის მაზრის სოფელ მოიდანახეს მცხოვრებთ განუზრახავთ საკუთარი შენობა ააგონ იქაურ სკოლისთვის. მოიდანახეს მცხოვრებთა წარმომადგენელი ერასტო როდონაიამ ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებას სთხოვა, დახმარება აღმოუჩინოს ამ საქმეში. წ.-კ. საზოგადოების სასკოლო სექციამ დაადგინა ეთხოვოს ბ-ნ როდონაიას, წარმოუდგინოს წ.-კ. საზოგადოებას გეგმა და ხარჯთაღრიცხვა შენობისა, აგრეთვე აცნობოს, იქაური მცხოვრებნი რა ხარჯს კისრულობენ.

◆ **სამძიმრის დეპეშა.** რედაქციას ბალახანიდან მოუვიდა შემდეგი დეპეშა. გულწრფელ თანაგრძნობას ვუცხადებთ ღრმად პატივცემულ ალექსი ბესარიონის ძის ქიქინაძის ოჯახობას მისი გარდაცვალების გამო. იულია კალატოზიშვილისა, ქათუთია და ტოცია ლორთქიფანიძენი.

◆ **ქართულ პოლკისთვის** სოხუმელ ქართველთ შეუგროვებიათ ოთხი ათასი ნივთი, რომელიც ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას გამოუგზავნეს დანიშნულებისამებრ გადასაცემად.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** გამგეობის კრება დღეს გაიმართება.

◆ **მსახიობი ვალერიან გუნია** ცოტა მომჯდბინდა. ხანდახან გარეთაც გამოდის ჰაერის ჩასაყლაპად.

◆ **საკურორტო ყრილობაზე** ნ. ლ. აბაზაძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგს თემაზე: „სურამი, როგორც კურორტი“!

◆ **„ვეფხის ტყაოსანი“.** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, დაუთმოს გრ. ჩარკვიანს დიდი „ვეფხის ტყაოსნის“ სურათები იმ გამოცემისთვის, რომელიც ბ-ნ ჩარკვიანს განუზრახავს. წიგნის დაბეჭდვის შემდეგ ბ-ნმა ჩარკვიანმა კლიშეები უფასოდ უნდა გადასცეს წ.-კითხვის საზოგადოებას.

◆ **საღამო.** დღეს ხუთშაბათს, 2 თებერვალს, სამუსიკო სკოლის დარბაზში, იმართება „ცისფერ ყანწების“ საღამო.

◆ **ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა საყურადღებოდ** ტფილისის სამაზრო სამხედრო საბეგრო საკრებულო შემდეგს აცხადებს: ის ახალგაზრდანი, რომელნიც სახელმწიფო დაცვას ემსახურებიან და შესაფერ შეღავათით სარგებლობენ, შესამოწმებლად მაინც უნდა გამოცხადდნენ.

◆ **„განათლება“.** გამოვიდა ჟურ. „განათლება“ შემდეგის შინაარსით: 1) მოსწავლე და სასწავლებელი—ივ. გომართელი. 2) სახალხო სკოლა და საპროგესიო განათლება—ლ. ბოცვაძე. 3) ილია მეჩნიკოვი, როგორც მეცნიერი და მოაზროვნე—ექიმი ბაქრაძე. 4) რუსული წერა სახალხო სკოლებში—ნიკ. ქასუშაძე. 5) სახალხო მასწავლებელთ—ს. ბ—ძე. 5) ქართული ენის ბედი—ია ნარიძე. 7) ქართველები და ქართული ენა IV თეოგონია—მოსე ჯანაშვილი. 8) ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსოვნას—ილია გოგია. 9) მონა სიყვარულისა (დასასრული)—დ. თურდოსპირელი 10) ⁂ მთელი დღის შრომით—ხ. ვარდოშვილი. 11) მოწამლულ ჰაერში—ნ. მიწიშვილი. 12) მწარე განცდის ჟამს—აბესალომ ტაბიძე. 13) ჭეშმარიტს გზაზე (შილერ მიხაილოვიდან)—ნატ. გიგაური-გაბეისა. 11) შინაური მიმოხილვა (ეროვნული სკოლის აუცილებლობა)—კახაბერი. 15) უსაფუძვლო ბრალდებისა გამო—ლადო ბზვანელი. 16) უცხოეთი—ამერიკის სკოლების ვითარება და ორგანიზაციები (მიჟუევი)—კატო ბ—ძე, 17) რომელი მეთოდი იძლევა უკეთესს ნაყოფს მართლწერის შესასწავლად. 18) ბიბლიოგრაფია. „გადამდები სნეულებანი“ და „საყმაწვილო ზღაპრები“. 19) განცხადებანი. 20) ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის საზ. მოქმედებისა—ომი 13 იანისის 1916 წ, მასწავლებელთა კრებისა. მოხსენება ყვირილის განყოფ. რევიზიის შესახებ—ვარ. ბურჯანაძე.

◆ **საბეითლო ინსტიტუტი** წელს, შუა იანვრის რიცხვებში დაამთავრეს ალექსისა სახელობის საბეითლო ინსტიტუტი შემდეგმა ქართველებმა: ვ. ს. ამაღლობელმა, ა. ვ. ბარათაშვილმა ი. ფ. გორგიძემ, ი. ა. მეტრეველმა და შ. გ. ხუციშვილმა. ი. ფ. გორგიძე დანიშნეს ქ. ვორონეჟში, დანარჩენები კი კავკასიის ფრონტზე.

◆ **ვალერიან გუნიას საიუბილეო კომიტეტის** კრება 31 იანვარს გაიმართა ქართულ დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარის ი. ბარათაშვილის თავმჯდომარეობით. კრებას ქართულ საკულტურო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა წარმომადგენელნიც დაესწრნენ. კრებამ დაადგინა, იუბილე გაიმართოს ნაადდგომევს, სახელდობ 3 აპრილს. გადასწყდა, ყოველი ღონისძიება იქმნეს მიღებული, რომ საიუბილეო კომიტეტს იუბილესთვის მთელი დღე დაეთმოს სახაზინო, ან საარტისტო საზოგადოების თეატრში. თუ ეს შეუძლებელი იქნება, მაშინ დილით რომელიმე დიდს დარბაზში გაიმართება ფასიანი დიდი

საზეიმო კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა, ხოლო საღამოთი წარმოდგენა გაიმართება სახალხო თეატრში. წარმოდგენილ იქნება იუბილიარის პიესები: „ალლუმი" და „ციხის საიდუმლო", დაწვრილებითი პროგრამა დღესასწაულისა გამოცხადებული იქნება.

◆ **საქონლის სადგურზე** ქალაქის გამგეობის ცნობით 30 იანვარს იყო 215 ვაგონი სხვა და სხვა სურსათსანოვაგე და პირველ საჭიროების საგანი. ამათში იყო: შეშა—28 ვაგონი. ფქვილი—40 ვაგონი და შაქარი—11 ვაგონი.

◆ **ქალაქთა კავშირის** კავკასიის განყოფილებას დაჭრილ მეომართათვის მზრუნველი ტფ. საქალაქო კომიტეტი 200,000 მან. სთხოვს.

◆ **ქალაქ ტფილისის გეგმა.** ქალაქის საბჭომ თანახმად ქალაქის გამგეობის მოხსენებისა დაადგინა, შედგენილ იქმნას ახალი გეგმა ქალაქ ტფილისისა. გეგმის შედგენა და დაბეჭდვა უნდა განხორციელდეს ოთხს წელიწადში. ამ საქმისთვის საბჭომ 158,000 მან. გადასდო.

სოფლად და ქალაქად

ქუთაისი.

◆ ეთნოგრაფიული საზოგადოების საღამოებზე ქალაქის თეატრში შემოვიდა 3,000 მანეთამდე.

◆ გუბერნატორის კანცელარიის მიერ მიღებული ცნობების თანახმად ზუგდიდის მაზრის სოფ. ანაკლიაში გადაუწვავთ ფოშტის კანტორა, დ. ზესტაფონში დამწვარა ხაზინა, იმავე დ. ზესტაფონში ვინმე ლილუაშვილს მოუკლავს ბაზრის ზედამხედველი ორმოცაძე, ახალსენაკში მოუკლავთ ავაზაკი ი. ლამფარავა, სოფ. ხორგაში მოუკლავთ ყაჩაღი ე. ჯოლოხავა და სხ.

ზესტაფონი.

◆ ხუთშაბათს, საღამოს 9 საათზედ უცაბედათ ცეცხლი გაუჩნდა ხაზინას, შენობა თითქმის დაიწვა, ფული და ქაღალდები სრულიად გადაარჩინეს. სახლი ეკუთვნის თეოფილე ხუსკივაძეს, თუმცა დაზღვეულიც არის მაგრამ, მაინც 3 ათასი მანეთი პირადად მას ზარალი მოუვიდა

◆ ადგილობრივ საკრებულოში, ხუთშაბათს, 2 თებერვალს, ახალგაზრდა ლექტორი ალ. წერეთელი წაიკითხავს ლექციას, „ნ. ბარათაშვილი, მისი დრო და პოეზია".

◆ გასულ პარასკევს, დღისით 12 საათზე, ვერაგულად, სრულიად უმიზეზოდ მედუქნე ლილუაშვილმა დანით ყელი გამოსჭრა ბაზრის ზედამხედველს ორმოცაძეს, რომელსაც აქ დიდი სიმპატია ჰქონდა მოპოებული. დამნაშავე შეიპყრეს, ცხედარი ლანჩხუთში წაასვენეს.

◆ წ. კ. გ. ს. ადგილობრივი განყოფილება ორშაბათს, 6 თებერვალს მართავს საღამოს, დამსახურებული მსახიობის ვასო აბაშიძის მონაწილეობით.

სიღნაღი.

◆ ავადმყოფს ექიმს ჯანდიერს უკეთესობა ეტყობა.

ჭიათურა

◆ **რუსული წირვა-ლოცვა ჭიათურაში.** საკვირველი ხალხი ვართ ქართველები — პეტროგრადში ქართულ წირვა-ლოცვის მოსმენას ვეოცნებობთ და ჭიათურაში რუსულად ვადიდებთ ღმერთს.

ქართული საზოგადოების თანხით აშენებულ ეკლესიაში (იგულისხმეთ ჭიათურის სასკოლო ეკლესია) რუსულად სწირვენ.

წინად ქართულად სწირავდნენ—ახლა?

მიზეზს თუ იკითხავთ, ნუ იტყვით, ჭიათურის „რუსის" საზოგადოებას ასე სდომია.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ—თუ ის რამოდენიმე რუსი, რომელიც ადგილობრივ რუსულ საზოგადოებას შეადგენს, ისე მორწმუნენი არიან, რომ უეკლესიოდ ვერა სძლებენ, ბარემ თავიანთი ხარჯით აიშენონ ეკლესია და რუსი მღვდელიც მოიწვიონ? ან და დაღესტნელი მაჰმადიანები სალოცავად მეჩეთში და მედინაში თუ ახერხებენ წასვლას, ხსენებულ პირთ რა უშავთ რომ მოსკოვს წავიდნენ?

თელავი

◆ განსვენებულ ალექსანდრა დავითის ასულ სუკიასოვ-სანებლიძის ნების აღმასრულებელმა ესტ. პაატაშვილმა წ.-კ. საზ. თელავის განყოფილებას 700 მან. ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის გირავნობის ფურცელი შესწირა თელავის ქართულ სკოლაში განსვენებულის სახელობაზე სტიპენდიების დასაარსებლად.

◆ წ.-კ. საზ. თელავის განყოფილების გამგეობამ 24 იანვარს თავის კრებაზე მოიწვია ქალთა საზოგადოების გამგეობის წევრნი, რომელთაც ყოველნაირი დახმარება აღუთქვეს სკოლის სასარგებლოდ საღამოს გამართვაში, რომელსაც 10 თებერვალს აპირობენ.

◆ როგორც გადმოგვცეს, აწინდელი მოურავი თანხმდება ყუთი დაიდგას. თან უთქვამს, მხოლოდ რამდენიმე თვე შემიძლიან დავრჩეო.

◆ ორ-სამ თვეზე მეტია, რაც თელავის მომხმარებელმა საზოგადოებამ გამოიწერა მცხეთის სადგურიდან სამი ვაგონი ნავთი, გაუგზავნა შესაფერი ქაღალდები და სთხოვა მალე გამოეგზავნათ ვაგონები. ამის პასუხად „ნაკლადნოეში" მაშინვე მიიღეს და სწერდნენ, რომ როცა ჯერი გერგებათ, თქვენ ვაგონებს მაშინ გამოგიგზავნითო. მას აქეთ რამდენიმე თვე გავიდა და ჯერაც არაფერი ისმის, მაშინ, როცა თელავის კერძო ვაჭრებს თითქმის ყოველ კვირა მოაქვთ რამდენიმე ვაგონი ნავთი და საზოგადოებას ეუბნებიან, როგორ უნდა მოიქცნენ თუ უნდათ მათაც მიიღონ ნავთი... მაგრამ...

◆ ჩვენ გვთხოვენ ყურადღება მივაქციოთ ვისგანაც ჯერ არს, საპნის ქარხნის ანტისანიტარულ მდგომარეობას.

◆ სიძვირე თელავში საარაკო ხასიათს ღებულობს. ღორის ხორცს გირვანქას 60 კაპ. ნაკლებ არა ჰყიდიან, ძროხისას 40 კაპ. ყველი გირვ. 1 მანეთია, ერბოს შოვნა არაა და თუ პროტექციით იშოვეთ, ისიც 2 მანეთია და სხვ.

ერთი სიტყვით ყველა ისე ვაჭრობს, როგორცა ჰსურს, ხოლო ქალაქის გამგეობა კი ნიხრის შედგენით კმაყოფილდება. სულ არაობას ესეც კარგი ნუგეშია. ოღონდაც...

ჩოხატაური

◆ სოფ, ამაღლებაში ბოროტგამზრახველებმა თავის სახლში მოჰკლეს მძინარე კ. აბუსერიძე.

◆ ადგილობრივმა კოოპერატიულმა ამხ. „ეკონომიამ" ამ დღეებში უკვე მიიღო ერთი ვაგონი ნატეხი შაქარი მთელი ჩოხატაურის საბოქაულოს მომხმარებელ საზოგადოებათა შორის გასანაწილებლად. შაქარი კარგი ღირსებისაა და გირვანქა იყიდება 35 კაპ.

◆ აღნიშნული ამხანაგობა ამ მოკლე დროში მიიღებს ერთ ვაგონ ფქვილს. ეგები მაშინ მაინც ვეღირსოთ პურს, რაც კარგა ხანია არ გვიხილავს. უპურობამ საშინლად ასწია ბაზარზე შემოტანილი მჭადის ფქვილის ფასები, რომელიც ფუთი 4—5 მ. იყიდება. სიმინდი კი სულაც არ შემოდის გასასყიდად.

◆ კვირას, 29 იანვარს, ადგილობრივ თეატრის დარბაზში დანიშნულია ამავე მომხმარებელი საზოგადოების წლიური კრება. საჭიროა ყველა წევრები დაესწრონ.

ღია წერილი ჩვენს ერთმორწმუნე კავკასიელ თურქებს.

ჩვენო ერთმორწმუნენო!

ამ უკანასკნელ დღეებში ვკითხულობთ თურქულ პრესაში თქვენს გულისწყრომას ჩვენ ძმებ ქართველ ქრისტიანებისადმი. როგორც თქვენი ნაწერებიდან სჩანს, თქვენი გულისწყრომა გამოიხატება იმაში, რომ ჩვენმა ძმებმა კეთილ ინებეს და გაგვიხსნეს ორიოდე ეროვნული სკოლა, რომელსაც დიდი ხანია შევნატროდით, და სადაც შეგვიძლია ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს, ვისუნთქოთ საკუთარი ჰაერით. ამაში რაღაცას წარმოუდგენელს ხედავთ... თქვენი სიტყვით, ქართველმა მაჰმადიანებმა რომ ეროვნული ჰაერი ვისუნთქოთ, ეს იქნება ჩვენი დაღუპვის მომასწავებელი... თქვენ ბრძანებთ: „**თუ თურქული სკოლა არ გავხსენით, ვინ არის თავდები, რომ აჭარა არ გაქრისტიანდებაო**". ვერ წარმოგვიდგენია, თქვენს ასეთს შეკითხვას რა პასუხი გავსცეთ!.. აბა, თქვენ გვიპასუხეთ ერთმორწმუნენო: **თუ თურქული სკოლები გავხსენით, ვინ არის თავდები, რომ აჭარა არ გათურქდება?..** დღეს ხომ ეროვნება მეორე ღმერთია და მას ხომ დიდი ადგილი აკუთვნა კაცობრიობამ? ეს ხომ აშკარად დაგვიმტკიცა დღევანდელმა უმაგალითო ომმა! ვერ გაგვიგია, ქართველ მაჰმადიანობას, თუ თქვენ, ჩვენ საკუთარ ჰაერის სუნთქვას წინ გადაეღობებით!.. შეიძლება ვცდებოდეთ და თქვენს წუხილს შეადგენს სარწმუნოების საკითხი და არა ჩვენი ქართველ მაჰმადიანების ეროვნულ ფერხულში ჩაბმა? თუ ეს მართლაც ასეა და გაწუხებთ ჩვენი სარწმუნოებრივი საჭიროება, ძლიერ კარგი და პატიოსანი, მიეჰყოთ ხელი მის მოწესრიგებას. ჩვენ დარწმუნებული ვართ ამ საკითხს პირდაპირ ალტაცებით მიეგებებიან ჩვენი ღვიძლი ძმები—ქართველი ქრისტიანები, რომლებიც ჩვენი სარწმუნოების არსებობას არა ნაკლებ იცავენ, ვიდრე თავისას. ამაში ქართველი მაჰმადიანები სულითა და გულით ვართ დარწმუნებულნი და ამ რწმენას ჩვენი გულიდან ვერავითარი ძალა ვერ აღმოფხვრის. არა ერთხელ და ორხელ თავდადებით და თავგანწირვით დაუცავს ქართველობას და ქართულ პრესას ჩვენი სარწმუნოება. ეს ალბად თქვენც გემახსოვრებათ, ჩვენო ერთმორწმუნენო, რადგანაც თქვენს პრესაში არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული ჩვენი ძმების, ქართველ ქრისტიანების მოქმედება. მაგრამ ახლა რა მოგივიდათ, აღარ ვიცით, რომ ბრძანებთ: „თუ თურქული სკოლა არ გავხსენით, ვინ არის თავდები, რომ აჭარა არ გაქრისტიანდებაო". ბატონო ერთმორწმუნენო, მოგახსენებთ, რომ ეს ისეთი გულსაკლავი სიტყვაა, რომ შეგნებული ქართველი მაჰმადიანი მას ვერ დაივიწყებს.

ნუ შიშობთ, ჩვენ არ გავქრისტიანდებით. აგერ ორმოც წელზე მეტია, რაც ჩვენში სამისიონერო პუნქტი არსებობს, აბა ბრძანეთ: ვინ გაქრისტიანდა?!. ათ წელზე მეტია, რაც ჩვენს მხარეს სამინისტრო რუსული სკოლები მოეფინა. მერე გავქრისტიანდით?! თუ მისიონერებმა და რუსულმა სკოლებმა ვერ გაგვაქრისტიანა, ნუ თუ ეროვნული სკოლები, რომლებიც კეთილ ინებეს და გაგვიხსნეს ჩვენმა ძმებმა, ჩვენ გაგვაქრისტიანებენ?! მერე რატომ? იმიტომ რომ ეროვნულია?! საკვირველია, ღმერთმანი ასეთი შეხედულება! ვინც ეროვნულ სკოლაში აღიზრდება, ის უსათუოდ გაქრისტიანდება?! მაშინ გვიბრძანეთ, თქვენ როგორ დარჩით მუსულმანებად და არ გაქრისტიანდით, თქვენ ხომ გაქვთ თქვენი ეროვნული სკოლები? ოთხას მილიონამდე მუსულმანია, ათასი სხვა და სხვა ეროვნებისა, ხომ ყველანი თავიანთ საკუთარ ეროვნულ სკოლებით იყვებიან და რატომ არ გაქრისტიანდნენ?

მაგრამ არა, ბატონებო, ამაოა ეს კითხვები. ჩვენ, ქართველი მაჰმადიანები უკულტურესი ხალხი ვართ. ყველას ფეხქვეშ სათელი და სათრევი შევიქენით. სამასი წელია, რაც მოსწყდით ჩვენს ეროვნულ სიტკბოებას და ღობე-ყორეს ვედებით. დღეს, როგორც იქნა, ჩვენს გულში იფეთქა დღემდის მიძინებულმა ეროვნულ გრძნობის პატარა ნაპერწკალმა და ესწრაფვის მგზნებარე ცეცხლად გადაქცევას და ამიტომ გთხოვთ ნუ გვიშლით ხელს. ჩვენც გვინდა გავერიოთ ხალხში, ჩვენც გვინდა და გვწყურია როგორც მთელს კაცობრიობას, ეროვნული სული და ვინც გადაეღობება ამ ჩვენს, ქართველ მაჰმადიანთა წმინდათა-წმინდა გრძნობას, ჩვენი მეგობარი არ იქნება!.. რაც შეეხება სარწმუნოებას, უკანასკნელად მოგახსენებთ, რომ ჩვენი სარწმუნოება ტანთ-საცმელად არ მიგვაჩნია, რომ როდესაც გვინდა გაიხადოთ და როდესაც გვინდა ჩაიცვათ, ნუ შიშობთ, ჩვენო ერთმორწმუნენო, თუ კი დღემდის მოვიტანეთ, აწ არავინ-ლა წაგვართმევს, მით უმეტეს, რომ სარწმუნოების გამოტაცების დრო უკვე წავიდა და ახლა მისთვის არავის სცალია.

ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე

ქ. ბათუმი, 25 იანვ. 1917 წ.

ვთხოვ სხვა ქართულ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

საზ. „კახეთში მომხდარ გაფიცვის გამო"

(დასასრული *)

დღეს კანტორაში ბუხჰალტერის გარდა ყველა ქალებია და ეს ქალები ასრულებენ მეტს პასუხსაგებს საქმეს, ვიდრე წინად ჰქონდათ. ასევე ითქმის მუშების შესახებაც, რომელთა უმრავლესობა ქალებია და მათი ჯამაგირი თვეში არ აღემატება 40—60 მანეთს, ამიტომ სწორე არ არის ბ. გაბაშვილის მოყვანილი ცნობა, სადაც ამბობს, რომ მუშის მინიმუმი ჯამაგირისა ასი მანეთია.

ბ. გაბაშვილს და გამგეობას სწყინთ, როცა უთხრეს „ჩვენთვის არა ზრუნავთო", მაგრამ ეს ხომ სინამდვილეა! არც ერთი მომატება არ ყოფილა მუშა-მოსამსახურეთა უთხოვნელად და **რადგანაც განყოფილებები შორსაა, იქაური მუშა-მოსამსახურეები სრულიად უყურადღებოდ არიან დატოვებულნი.**

შემდეგ თითქმის ყველა სხვა დაწესებულებაში ომში წაყვანილთა ოჯახობას ეძლევა $\frac{1}{2}$-დან $\frac{1}{3}$ ჯამაგირისა, ჩვენში კი ზოგჯერ ერთი თვისაც (ერთდროულად) არ მიუციათ.

ბ. გაბაშვილი გვეყვედრის ,კასას ფულები მივეცით უპროცენტოთ და ჩვენვე პროცენტებს გვახდევინებენო. რა ვქნათ, უნდა ავღნიშნოთ, რომ მას აქაც შეეშალა ანგარიში და მისი შენიშვნა, რომელიც გამგეობის გადაწყვეტილებას გაუკეთა,—არ ვეთანხმებით 5% მიცემას თავისუფალ თანხაზეო, მისს გაუგებრობას ამტკიცებს. კასის გამგეობას უფლება არა აქვს სისხს გადარჩენილი თანხა უსარგებლოდ შეინახოს; წესდებით უფლება აქვს ეს თანხა სადმე საკრედიტო დაწესებულებაში შეინახოს და პროცენტები აიღოს კასის სასარგებლოდ. მან საზოგადოების გამგეობას წინადადება მისცა, ამ თავისუფალს ფულს თქვენს კასაშივე დავტოვებთ და 5% მოგვეცითო. ამ ფულს (ამ ჟამად თითქმის ას თუმანზე მეტი) საზოგადოება ასარგებლებს თვის წარმოებაში და გაცილებით მეტს პროცენტს იღებს, ასე რომ არაფერი „გასაკვირველი" არ არის საზოგადოების გამგეობის დადგენილებაში ამ თანხაზე კასას 5% მისცეს.

ბატონნი გაბაშვილი ბრძანებს: კასის დაარსებამ სიკეთის მაგიერ სიავე მოიტანაო. რაშია ეს სიავე? იმაში, რომ კასის გამგეობამ და საგანგებო კომისიამ ცნობები შეკრიბა და დასაბუთებული მოთხოვნილება წარადგინა?! რა თქმა უნდა, გამგეობას შეეძლო არ დასთანხმებოდა ამ ცნობებს და დაენახვებინა ჩვენთვის ცნობების უსაფუძვლობა, ან არ ეკმარა ის და თითონ მოეკრიბა ცნობები, მაგრამ, როგორც საზოგადოების ერთმა წევრმა იხუმრა, **გამგეობამ აქაც დაიგვიანა და ცნობების შეკრება დაადგინა გაფიცვის შემდეგ.**

გაფიცვა ყოველს დაწესებულებაში შეიძლება მოხდეს, ეს უფლებაა მშრომელისა და რუსეთშიაც ამ ჟამად ნებადართული მთავრობისაგან. ბ. გაბაშვილს კი ეს მისი შეურაცყოფად მიაჩნია.

დარბაისელი ხელმძღვანელი არასოდეს არ დაჰკარგავს თავს, ყოველთვის იპოვის საშუალებას საქმე არ გაამწვავოს, აქ კი გამგეობა გაეჭუტა მოსამსახურეთ და ხმასაც კი არ სცემდნენ თუ არა საქმის აუცილებელი საჭიროებისათვის. მუშა-მოსამსახურენი ოქტომბრიდანვე ყოველს ზომას იღებდნენ საქმე არ გამწვავებულიყო, მაგრამ გამგეობა დემონსტრატიულად გვერდს უხვევდა საქმის გადაწყვეტას და მხოლოდ ისე იქცეოდა, როგორც „სურდათ". ბ. გაბაშვილის წარმოდგენით, ამაში უნდა გამოჩენილიყო მათი „მე", მათი პრესტიჟი. ბ. გაბაშვილი, როდესაც იგი ჯერ კიდევ არ იყო საზოგადოებისა და გამგეობის წევრი—კრებაზე ამბობდა: „მე მინახავს მუშები ბოთლებს კედლებს ესროდნენ და ამტვრევდნენო". თუ ის მართლა იყო ასე, ნუ თუ არა გრძნობს, რომ ასეთს მოვლენებს მისი ასეთი „მეს" გამოჩენით ვერასოდეს გაასწორებს! იგი ჩვენში ცნობილია უადგილო სიტყვისა და უადგილო ლაპარაკის პატრონ პირად და განა არა გრძნობს, რომ თითქოს განზრახ ამწვავებდა საკითხს, როდესაც მუშებს, ასეთ აღელვებულს დროს ეუბნება: „ჩვენ მუშები არა ვართ, რომ სიტყვა უკან წავიღოთო"?! გონიერი ადამიანისათვის ცხადია, რომ მუშებისა და მოსამსახურეთა დაახლოება საქმისთვის სიკეთეა და ამ სიკეთემ კასის დაარსებიდანვე იჩინა თავი.

აღსანიშნავია ისიც, რომ გამგეობა ჯამაგირების მომატების დროს გარდა წარმატებისა და სიძვირისა კიდევ ხელმძღვანელობდა, აგრე წოდებულ „ერთგული სამსახურისთვის". მოვიყვანოთ ბ. გაბაშვილის ცხრილიდან ცნობები:

ბუხჰალტერს ჰქონდა ჯამაგირი 259 მან. 21 კ., გაუხადეს 257, ერთგულობისთვის მომატა 15 მ. 79 კ.; მდივანს ჰქონდა ჯამაგირი 152 მ. 61 კ., მეკასე ქალს ჰქონდა ჯამაგირი 77 მ. 86 კ. გაუხადეს 80 მ., ერთგულობისთვის მომატა 2 მ. 14 კ. (?!), კანტორის ქალს ჰქონდა ჯამაგირი 77 მ. 86 კ., გაუხადეს 85 მ., ერთგულობისთვის მომატა 7 მ. 14 კ. (?!), რემინგტ. მომუშავეს ჰქონდა ჯამაგირი 72 მან. 11 კ., გაუხადეს 72 მ. 11 კ., უფროს მუშას ჰქონდა ჯამაგ. 88 მ. 78 კ., გაუხადეს 100 მ., ერთგულობისთვის მომატა 11 მ., 22 კ.; მემანქანეს ჰქონდა ჯამაგირი 88 მ. 78 კ., ზეინკალს ჰქონდა ჯამახირი 93 მ. 38 კ.

სხვა 30—40 მოსამსახურეთ არა მომატებიათ რა *) ნუ თუ გამგეობა არა

---

*) იხ. „სახ. ფურც." № 785.

*) ბ. გაბაშვილი თავის ცხრილში საეფექტოდ ასე თუ ისე დიდ ჯამაგირიანებს ათავსებს. მაგალითად, იანვრიდან მდივნის ჯამაგირის აღნიშვნა რა საჭირო იყო, როდესაც მდივანმა თვეზე მეტი იყო ითხოვა მდივნობიდან განთავისუფლება და თუ იმ დროებში მდივანი კიდევ იყო კანტორაში, მხოლოდ იმიტომ, რომ გამგეობამ თითქმის ერთი თვე დადგენილება ვერ გამოიტანა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი

არ მოიძებნება ცასქვეშეთს ისეთი ხალხი, რომ ლექსად ლაპარაკობდეს, მაგრამ ყოველ ხალხს, ცოტად, თუ ბევრად განათლებულს, როცა ზეპირი სიტყვიერება შეუქმნია, იმ დროსვე თავისი უნარის შესაფერი სხვა და სხვა სახალხო თქმულება გამოუთქვამს, როგორც ამბად, ისევე ლექსად.

შემდეგ როცა წერა შემოსულა, ორივე გვარი მწერლობა უფრო განუვითარებია კერძო პირთა შემოქმედებით, მაგრამ ხალხის გენია არ დამცხრალა მაინც და დღესაც განაგრძობს ახალის შექმნას, ძველის გადაქმნას.

ქართველ ხალხსაც მოეპოება როგორც ზეპირი, ისევე ნაწერი სიტყვიერება ამბად, თუ ლექსად.

როდის, ან ვისი გავლენით დაუწყია ქართველ ხალხს წერა ლექსად, არ ვიცით, ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ სიტყვების ხელოვნური წყობა მათ მარცვალთა რაოდენობის მიხედვით შექმნილა საფუძველი, რაზედაც აშენებულა მელექსეობა და შეიძლება იმ დროსავე გალობაცა, ე. ი. ხმათა ხელოვნური წყობა, ამას გვაფიქრებინებს თვით ის საერთო ძირის ტერმინები, რომელიც მოიპოება, როგორც ქართულში, ისევე ზოგიერთ სხვა ენაშიაც, ქართული **შაირი**, ებრაული **შირ**, სპარსული **საარ** ჰხატავს უფრო ჰანგს გალობას, ხოლო ქართულივე **შაირი** და **სირა** და სომხური **შარაკან**—წყობასა, როგორცა სჩანს იმ ერებს, რომელთაც ეკუთვნის ზემოხსენებული ტერმინები, საერთო წარმოდგენა ჰქონიათ სიტყვათა წყობის, ანუ ლექსის და ხმათა წყობის, ანუ გალობის გაჩენის და მათი ურთიერთობისა და წიგნის გზით არ შეუთვისებიათ, რაც შეეხება **ლექსს**, რომელიც დღეს შაირის ბადლად იხმარება, ბერძნული შთამომავლობა ეტყობა და უნდა გავრცელებულიყვეს ქართლში მას აქეთ, როცა **შაირი** შექმნილა თქვსმეტ მარცვლოვანი ლექსის გამომხატველად.

ქართულ ლექსთა წყობას, ან **შაირსიტყვას**, როგორც ხალხი იტყვის, განვითარების დროც ჰქონია და აღორძინებაც, რომელიც დავარდნილობას მოჰყოლია. პირველი განისაზღვრება 12 და 13, ხოლო მეორე 17 და 18 საუკუნეთა პოეზიით.

საუკეთესო დაფასება შაირობისა, რა საკვირველია, ვეფხის ტყაოსნის წინასიტყვაობაშია. რაკი შაირობისთვის ხელოვნების ცოდნა იყო საჭირო, წინასიტყვაობის ავტორმა შაირობა სიბრძნის ერთ დარგად აღიარა, ხოლო მის შინაარსად საღმრთო რამ დაჰსახა, ე. ი. ისეთი რამ, რაც ადამიანს ამაღლებს ვიდრე ღვთაებამდე, რათა მიიღოს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა.

ასეთმა დებულებამ დაჰბადა საჭიროება თვით შაირის, ანუ ლექსის სისრულისა. საღმრთო შინაარსი გასაგონადაც საღმრთო უნდა ყოფილიყო თვით შაირი ერთი გვარი იარაღი იყო, რომ გრძელი სიტყვა მოკლედ თქმულიყო.

ამის გამო ავტორის აზრით, მოშაირე ხალმარჯვედ უნდა სცემდას ჩოგანსა, რომ ლექსმა ძვირობა არ დაუწყოს, სიტყვამ მცირობა არა ჰქმნას. თქმა და ხევა შესძლოს გულის გასაგმირილი სიტყვებისა ასე, რომ მისი ლექსი ტკბილი და წყობილი მარგალიტი იყეს მელექსე უნდა ჰხელოვნებდეს, მისი ენა ჰმუსიკობდეს.

ქართული ლიტერატურის აღორძინება მიბაძვა იყო ქართულივე კლასიციზმისა და ეს იყო მიზეზი, რომ იმ დროინდელმა პოეტებმა თეიმურაზ პირველმა და არჩილ მეორემ გაგვიზიარეს თავიანთი შეხედულობა ლექსის ფორმაზე, მის ვითარებაზე.

თეიმურაზ პირველმა იცის, რომ ბერძნებნ სხვა და სხვა სიბრძნე ჰქონდათ და მათ შორის სიტყვის შეთხზვა გალექსვითა. თვისი პოემის **ვარდბულბულიანის** მეთერთმეტე მუხლში მოითხოვს.

მელექსემან, ჰხამს თუ, სიტყვა
ახალისოს, წმინდად ჰვერცხლოს.

ხოლო **შამი-ფარმანიანის** მეორე მუხლში იტყვის:

ვინ ხართ გონების უფალი
თარგმნილი დალმობილისა,
მოდით, სიტყვისა ტრფიალნო,
სმენად სიტყვისა ტკბილისა.
სცანით ლარიბთა სიტყვათა,
სალიზლად შეწყობილისა,
ვით ნაკადული ღრმაშია,
სწორეთ მიდენილ მილისა.

პოეტმა მოითხოვა ლექსის წმინდად დავერცხლვა, ხოლო მისი ჰარმონია შეადარა ღრმაში სწორედ მიდენილი მილის ნაკადულსა, რომლისაც ჩუხჩუხი ტკბილი და საამურია.

არჩილ მეორე თავისი პოემის **არჩილიანის** მეშვიდე მუხლში ამბობს:

სწორეთ უნდა ლექსი ვინ სთქვას,
მართლა სცემდეს, განა გაჰკრა.
თავი კარგა ამოუღო,
ბოლო გვამსა ზედ მოაკრა;
ვით ხუთ ძალსა გამართულსა,
ქვეითამდე ხელი აჰკრა,
ტკბილად იყოს გასაგონი,
განა თავსა ვისმე დაჰკრა.

პოეტს ლექსი თუ არ ხმა შეწყობილი არა სწამს. იმისი ჰარმონია ისეთივეა, როგორც ხუთძალისა, რომელიც დასაკრავად მომართულია და კმარა ქვეიდამ ხელის აკრა, რომ ტკბილად გასაგონი იყვეს.

ღრმაში მიდენილი მილის ნაკადული და ხუთძალი ჩვენს პოეტებს შემოუტანიათ ლექსის ვითარების დასახასიათებლად სწორეთ იმ აზრით, რა აზრითაც ვეფხის ტყაოსნის წინასიტყვაობის ავტორი ამბობს, შაირი საღმრთოდ გასაგონი უნდა იყვესო.

⁂

ქართული ლექსის ასეთ მოთხოვნილებას XVII და XVIII საუკუნეთა პოეტნი შეძლებისამებრ ემსახურებოდნენ და მათ საქებრად უნდა ვსთქვა, რომ ლექსის ხელობა უნიჭო პოეტებს არ ეუცხოვებოდათ. დავით გურამიშვილი ხომ ნიჭით, ენის სიკეთით და ლექსის ხელობის ცოდნით ყველაში გამოირჩეოდა, ვეფხის ტყაოსნის შემდეგ გურამიშვილის დავითიანის მოვლენა ნიშანი იყო ჩვენი ქვეყნის საერო კულტურის უკეთესი მომავლისა, მაგრამ ვახტანგ მეექვსის და ერეკლე მეორის რუსოფილობამ თავს დაატეხა ქართველობას რისხვა სპარსთა ყეინის აღამაჰმად ხანისა, რომელმაც ჩვენს ქვეყანას მუსრი გაავლო და გაანიავა წინასაუკუნეთა ნალვაწი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეცხრამეტე საუკუნე ჩვენი კულტურის დამღუპველი გამოდგა მართალია, ჩრდილოეთმა ჩვენს ქვეყანას მშვიდობა მიუნიჭა, მაგრამ ჩვენს სულს თავისუფალი განვითარების გზა შეუკრა და მის ნაცვლად თავისი წიგნი მიაჩეჩა, რომ ბოლოს რომაელსავით ეთქვა, **არა მხოლოდ იარაღითაო** *), ვითომც მე დაპყრობა შემიძლია ჩემი წიგნით, ჩემი განათლებითაცაო. რა საკვირველია, რაც რომს შეეძლო ეთქვა თავისი დაპყრობილი პროვინციებიათვის, ის საბოლოოდ არ გაუმართლდა მოსკოვს ჩვენს ქვეყანაში, რადგანაც ჩვენი ქვეყანა არც დაპყრობილი, არც ველური იყო. მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეზია შეუდგა ქართველი ხალხის სულიერ აღორძინებას. ნამყოფ ცხოვრების ნაღველი, აწმყო სინამდვილის ზიზღი და უკეთესი მომავლის იმედი იმდენად მოზღვავებიდათ მაშინდელ პოეტებს გულზე, რომ აღარ ეცალათ. თანაბარის, მხნეობით შესდგომოდნენ ჟამთა ვითარებით განიავებული მშობლიური კულტურის შესწავლას და აღდგენას და იძულებულნი იყვნენ, მოღვაწეობა დაეწყოთ ისეთი ენით და ისეთი ლექსით რაც მეტად ჰბორკავდა არა თუ კლასიკურს, არამედ აღორძინების და თვით სახალხო ენის და პოეზიის ნორმებსა. თითქოს ვეღარ სწვდებოდნენ. ალექსანდრე ჭავჭავაძეს შეგნება ჰქონდა ტკბილი და მჭევრი ლექსის საჭიროებისა, როცა სთქვა

მე ვით მოვჰკრიბო აზრნი
ვით ხელ ვჰყო ქების ფენას?
სად ვჰპოო ისი ლექსნი,
რომელ არა აქვს ენას?

მაგრამ იმ დროსვე შესცდა, რადგანაც ქების ფენისთვის ქართულ ენას მრავალი ლექსი გააჩნდა, იმას კი პოვნა არ შეეძლო. ლექსთა ხმოვანებას ერეკებოდა, სიტყვას ძნელ გამოსათქმელად აქცევდა, ოღონდ განზრახული ზომისა და რითმისთვის გამომდგარიყო. გრიგოლ ორბელიანს საოცნებლად გაჰხდომოდა **ივერი ენით მდიდარი და სიტყვა ქართული რუსთაველისა**, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ რუსთველის ლექსის სიტკბოება მის მუზასაც ეუცხოვებოდა. ვახტანგ ორბელიანს არ უყვარდა

კილო მუხამბაზისა,
კინტოთ კილო,
კილო შუა ბაზრისა.

და გრიგოლსავით იმასაც ენატრებოდა

კილო რუსთველისა,
გაფურჩქნილი, ვით ყვავილი ველისა,
მოკამკამე, როგორც წყარო მცინარი,
ვით მდინარე, მშვენივრად მომდინარი,

მაგრამ იმისთვისაც მიუწვდომელი გაჰხდა, როგორც რუსთველის ქნარი, ისევე სახალხო ენის და პოეზიის საუნჯე. ამის მიუხედველად სამნივე პოეტნი ძლიერნი არიან გრძნობით და აზრით.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაც ძლიერია გრძნობით და აზრითა. სამწუხაროდ პოეტი არას გვეუბნება თუ, რა შეხედულობის არის ენისა და ლექსის ვითარებაზე. ლექსის ფორმა კი ისეთი აქვს ჩვენს პოეტს, რომ ჰღირს მისი თვისების აღნიშვნა.

პეტრე მირიანაშვილი.

(დასასრული იქნება)

---

*) non Jolum armis.

გრძნობს უხერხულობას ამ „ერთგულობისათვის" ასეთს უცნაურს დასაჩუქრებას და ისიც იმ დროს, როდესაც საქმე გამწვავებულია და მოსამსახურეებს გამგეობა მუშებთან დაახლოებას უსაყვედურებს? თუ 30—40 კაციდან ოთხს-ექვს „ერთგულობისათვის" აჯილდოებთ, რა სახელს უწოდებთ დანარჩენებს? სად არის აქ ტაქტი, სად არის შეგნება საქმის სერიოზული მხარისა? და ნუ თუ არა ჰქონდათ საფუძველი ეს თქვენი დადგენილება მუშა-მოსამსახურეებს შორისა და განხეთქილების ჩამოსაგდებ ხერხად აეხსნათ? დაუბრუნდეთ ისევ გაფიცვის ისტორიას. ოქტომბრიდან დაწყებული გამგეობამ ძლივს თუ-და-ერთს დეკემბერს გადასწყვიტა მომატება და მოთხოვნილების საპასუხოდ 15 და 20% მოუმატა გარდა „ერთგულობის" ჯილდოსი და ეს გადაწყვეტილება გამოუცხადეს იმავე დღეს 3 - 4 საათზე. ამავე დღეს საღამოზე მუშები შეიკრიბნენ და გადასწყვიტეს დაიბარონ გამგეობის თავმჯდომარე და მოსთხოვონ სრული დაკმაყოფილება, მანამ კი დილიდანვე სამუშაოს ხელს ნუ მოვკიდებთ, რადგან მერე თავის დინება საქმეს უხერხულს მდგომარეობაში ჩააგდებსო. მეორე დილას, როცა მოსამსახურენი მოვიდნენ, უხერხულად დაინახეს მუშაობა, რაკი მუშები არ მუშაობდნენ. ამავე დროს მოხდა შემდეგი უსიამოვნო მოვლენა: „ზაკაზის" მიმღები მოსამსახურე არ იღებდა „ზაკაზებს". თავმჯდომარე ეკითხება: რატომ არ იღებთ? არ ვიღებ, რადგან სულერთია, შესრულება არ შეიძლება, რაკი მუშები არ მუშაობენო. თავმჯდომარემ ხმა აწევით და ალელვებით უბრძანა მიეღო „ზაკაზი". ამის შემდეგ მოსამსახურეებმაც გადასწყვიტეს არ ემუშავათ, სანამ ყველა არ დაიწყებდა მუშაობას და წავიდნენ სახლში, რომ ალელვებულ თავმჯდომარესთან უსიამოვნობა კიდევ არ მოსვლოდათ.

ამის შემდეგ გამგეობის თავმჯდომარემ გამოუცხადა მუშების წარმომადგენლებს რომ ყველა მოთხოვნილებებს დავუკმაყოფილებთო. მუშები შეეკითხნენ: აკმაყოფილებთ თუ არა მოსამსახურეებსო. უპასუხეს: არათუ მათს მოთხოვნილებას არ ვაკმაყოფილებ, ხარჯების შესამცირებლად ზოგიერთს კიდეც დავითხოვო. მუშებმა მოითხოვეს მოსამსახურეთა დაკმაყოფილებაც და აგრეთვე ის, რომ გაფიცვისათვის არავინ ყოფილიყო დათხოვნილი. პატარა ხანს შემდეგ, გამგეობის თავმჯდომარემ გამოუცხადა, რომ ასრულებს ყველაფერს იმავე დღეს (22-ს) მუშაობა განახლდა, როგორც კანტორაში, აგრეთვე სარდაფში. გამგეობა შეუდგა კიდეც მოსამსახურეთა სიის სინჯვას მოთხოვნილებისამებრ ჯამაგირების დასანიშნად, მაგრამ კასის გამგეობას გამოუცხადა, რომ ჯამაგირების გასაზღვრის დროს ზოგიერთი უხერხულობა იბადებაო. (არ იცოდნენ როგორ მოქცეოდნენ იმ ახალს მოსამსახურეებს, რომელნიც ოქტომბრის შემდეგ იყვნენ მიღებულნი); მეორე დღეს კასის გამგეობამ გადასცა თავისი აზრი, რომელიც გამგეობის აზრს სრულიად ეთანხმებოდა. ყველანი დარწმუნებულნი ვიყავით, რომ საქმე გათავდა, მაგრამ მწარედ მოვტყუვდით. ეს გადაწყვეტილი საკითხი 24-ს გამგეობამ სარევიზიო კომისიასთან შეერთებულს სხდომაში გადაიტანა ხელ-მეორედ გადასაწყვეტად. ამ კრებას გამგეობის თავმჯდომარემ განუცხადა, რომ იგი იძულებული იყო გამოეცხადებინა, რომ მათი მოთხოვნა სრულიად იქნება დაკმაყოფილებული, რადგან უამისოდ სწორედ უქმეების წინ უნდა შეჩერებულიყო საზოგადოების მოქმედებაო. *) ამის შემდეგ მუშებმა და კანტორის მოსამსახურეებმა მუშაობა იმავ დღეს განაახლეს... ახლა ვეკითხებით ბ. გაბაშვილს ვართ თუ არა მოტყუებულნი სწორედ ისე, როგორც ამას გამოქნილი „ხაზეინები" სჩადიან და რომელთან შედარებას თაკილობს იგი? ამის შემდეგ, შეერთებული სხდომა ადგენს შემდეგს: დაკმაყოფილებულ იქმნას მუშების მოთხოვნა სრულიად და ეთხოვოს ბ. ვას. კახიძეს (სარევიზიო კომის. წევრია) მოელაპარაკოს კანტორის მოსამსახურეთ ჯამაგირების მომატების შესახებ და გამოარკვიოს ის მაქსიმუმი, რის მომატებაც შესაძლებელია საზოგადოების მდგომარეობის მიხედვით (იხ. ოქმი 24 დეკემბრის) მიუხედავად შეერთებული სხდომის, უმაღლესი ინსტანციის ასეთი დადგენილებისა, გამგეობა მაინც უცხადებს მუშა-მოსამსახურეთ: მუშებს მოემატებათ იანვრიდან, (30 იანვრიდან და არა დეკემბრიდან ან ოქტომბრიდან) ოქტომბრიდან კი—საზოგადო კრებას შევეკითხებით და მოსამსახურეთა შესახებ კი მერე ვიქონიებთ მსჯელობასო. მუშებმა აქ მეორედ დაინახეს გამგეობის უსწორობა (პირველად სიტყვის გატეხა ის იყო, რომ ყველაფერს ვასრულებთო, და არ შეასრულეს, მეორე ესა, რომ შეერთებული სხდომის დადგენილებას არ ასრულებდნენ) და მასთან თვით ბ. გაბაშვილიც დაიჭირეს ტყუილში, რომ მუშებისთვის ეთქვა: „ჩვენ მუშები არა ვართ რომ სიტყვა გავტეხოთ და პარასკევს სრულად მიიღებთ ფულსაო". ამის შემდეგ მუშებსა და თავმჯდომარეს შორის ალელვებული ლაპარაკი დაიწყო და უთხრა, თუ კმაყოფილნი არა ხართ მიბრძანდითო. როდესაც საქმე ასე ხელ-მეორედ უფრო გამწვავდა, კანტორის მოსამსახურეებმა წინადადება მისცეს გამგეობას: ჩვენ უარს ვამბობთ ყოველგვარს მომატებაზე, ოღონდ შეასრულეთ სხდომის დადგენილება და დააკმაყოფილეთ მხოლოდ მუშებიო. გამგეობამ ამაზე არა თუ უარი უთხრა, იწყინა კიდეც და მტკიცედ განაცხადა: მუშათა საკითხი მოსამსახურეთა საკითხის გარეშე უნდა გადაწყდესო. უკვე წასვლის დრო იყო. მეორე დღეს ყველა მოსამსახურე გამოცხადდა, დასამთავრებელი ანგარიშები დაამთავრეს, მთელი კასა ჩააბარეს სრულად, წინა დღის თხოვნა გაუმეორეს და დაიშალნენ. ბ. გაბაშვილი კი სიმართლეს ლალატობს, როდესაც სწერს მიატოვეს კასა, ქაღალდებით და თუ თავის გასამართლებლად მას ასეთი საშუალებაც სჭირდება, ეს ჩვენთვის ზნეობრივად დამაკმაყოფილებელია. ოთხს იანვარს მუშებმა მოსამსახურეების თხოვნით გადასწყვიტეს, ეს საკითხი გადატანილიყო საზოგადო კრებაზე და მუშაობა განაახლეს. ეს მოხდა ბ. გაბაშვილის კახეთში ყოფნის დროს. მისი დაბრუნების უმალ საქმე ისევ უკუღმა გადატრიალდა.

9 იანვარს გამგეობამ დაადგინა: კანტორაში მუშაობა თავდებოდეს არა სამზე, არამედ ოთხს საათზე და „მოეთხოვოს ყველას, სასტიკად დაიცვან ეს წესიო", მუშტრის მიმღებმა ქალმა ექვსი საათის მაგიერ, როგორც სხვებმა, უნდა რვა-ნახევარი საათი იმუშაოს,—უნდა გამოცხადდეს დილის რვაზე და წავიდეს ხუთის-ნახევარზე; ლაბორატორიაში მომუშავე ქალი, რომელსაც დიდის ამბით ჩააბარეს ეს საქმე, ისევ კანტორაში იყო გადმოყვანილი.

იყო ასეთი შემთხვევა: ერთი წევრი საზოგადოებისა შედის ლაბორატორიაში ბ. გაბაშვილთან ერთად. „ეს სად ციმბირში გადმოუყვანიხართო,— ეუბნება წევრი ლაბორატორიაში მომუშავე ქალს,—პირიქით, ჩვენ მათ წარმატება მივეცითო, შენიშნავს ბ. გაბაშვილი. ახლა კი ეს „წარმატება" ისევ წაართვეს. რომ ეს „ახალი წესები „დამნაშავეთა" დასასჯელად არის შემოღებული, ეს ცხადია შემდეგი მოსაზრებებითაც:

1) მთელი ეს დადგენილება მოჰყვა დაუყოვნებლივ მომხდარს ამბებს. 2) მოიგონეთ ზემოდ მოყვანილი დადგენილება: „რაკი მოსამსახურეები მუშებთან ერთად ადგენენ მოთხოვნილებას, გამგეობას საფუძველი ეძლევა სხვაშიაც გაათანაბროს ისინიო", 3) გამგეობის წევრს ბ. გაბაშვილს წინად რამდენჯერმე უთქვამს და უმტკიცებდა კიდეც ბუღალტერს და მოსამსახურეებს, რომ ინტელიგენტური მუშაობა არა თუ ექვსი, ხუთი საათის მეტიც შეუძლებელია კაცმა აიტანოსო, 4) გაფიცვამდე გამგეობამ დაადგინა (იხ. ოქმი № 282): „შემოღებულ იქმნას სარდაფში მუშებისათვის ცხრა საათის მაგიერ რვა საათის მუშაობა,*) **რადგანაც მეცნიერება გვიმტკიცებს,** რომ რაც ნაკლებ დროს მუშაობს კაცი, მუშაობა უკეთ და ნაყოფიერად სწარმოებსო". ეს დადგენილება გამგეობამ ისევ გააუქმა და მეცნიერების წინააღმდეგ **ინტელიგენტ მოსამსახურეებსაც სამუშაო დრო გაუდიდა.** გამგეობა ამას საქმის საჭიროებითა ხსნის და მართალიც არის, **რადგანაც გამგეობის წევრი თითონ თორმეტს და პირველს საათზე დაბრძანდება სამსახურში და რა თქმა უნდა, ოთხი და ხუთი საათამდე უნდა დარჩენა კანტორაში, მაგრამ მოსამსახურეები რა დამნაშავენი არიან ამაში?!** ყველა ჩამოთვლილი მოსაზრებით და უტყუარი საბუთებით მოსამსახურენი და მუშები ამას სამართლიანად სთვლიან რეპრესიებად, დასჯად. ვინც ძალათი თავს არ დაიბრმავებს, ცხადია, რომ ეს ზომები იმ მიზნითაა განზრახული, რომ მოსამსახურეები აიძულონ, თითონვე წავიდნენ. განა ეს რეპრესიები არ არის, როდესაც ოცი წლის განმავლობაში არსებული განმტკიცებული წესი საზოგადო კრების დაუკითხავად გამგეობამ გადასწყვიტა, მაშინ, როდესაც დამდეგმა კრებამ სწორედ მუშა-მოსამსახურეთა საკითხი უნდა განიხილოს! მაშ რაღად იწვევენ კრებას, მაგრამ ტყუილად კი არ ამბობს ბ. გაბაშვილი თავის წერილში: „**კრებას ვიწვევთ, რომ ფორმალური დასტური მიიღონ**" და არა საკითხის არსებითად განსახილველად. აქედან ცხადია, ბ. გაბაშვილის ყალბი პათოსი: „რა დააშავა საზოგადოებამ, წევრებმა, საქმის პატრონებმა, რომ საშუალება არ მისცეს გამგეობას, მისთვის ეცნობებია საქმის მდგომარეობაო". როდესაც კრებას მხოლოდ ფორმალური დადასტურებისათვის იწვევენ, ეს შეურაცხყოფაა საზოგადოებისა გამგეობის მხრით და არა სხვებისაგან. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ უკანასკნელს წელს გამგეობამ იმდენი საკითხი გადასწყვიტა კრების დაუკითხავად, იმდენი პირდაპირ საზარალო თვითნებობა გამოიჩინა პირადად ბ. გაბაშვილმა კრებისა და გამგეობის დაუკითხავად, რომ თუ შეურაცხყოფილია კრება და წევრები, თუ მტრული მოქცევა არის საქმისადმი, ყოველ შემთხვევაში არა მუშა-მოსამსახურეების მხრით, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ყველა ამაზე ლაპარაკი ჩვენ არ შეგვიძლია, როგორც მოსამსახურეებს.

აქედან ცხადია, სიყალბე ბ. გაბაშვილის მტკიცებისა: „ვერავინ ვერ დაასახელებს ვერც ერთს საშუალებას, გარდა დათმობისას ჯამაგირის მომატებისას და სიტყვიერი დარწმუნებისას, რომლისათვისაც გამგეობა მიემართონოსო". როდესაც ბ. გაბაშვილი უფროს მოსამსახურეს ეუბნება: „მე შენ ოცდა-ოთხ საათში გაგაგდებ სამსახურიდან" და ან, „ძალაზე ძალით გავცემთ პასუხსაო" და სხ. რასაკვირველია, ეს მხოლოდ **სიტყვიერი დარწმუნებაა.** ამ დარწმუნების განხორციელება არ დასჭირებიათ, რადგანაც, გამოცხადდა თუ არა ოთხს იანვარს კრების მოწვევა, იმავე დღეს სწორედ კრების პატივისცემით, მუშაობა განახლდა და მიუხედავად ასეთი რეპრესიებისა, მუშაობა არ შეწყვეტილა.

(დასასრული იქნება)

საზ. „კახეთის" მუშა-მოსამსახურეთა კომისია.

---

*) სხვათა შორის თავმჯდომარემ სთქვა, რომ ამას (მოთხოვნილების სრულიად დაკმაყოფილების) შეცდომათა ვთვლი და მე თვითონ ვკისრულობ ამ შეცდომის გასწორებასაო. ამ სიტყვებზე თავმჯდომარემ ქებაც კი მიიღო.

*) აღსანიშნავია, რომ **წინადაც მუშებისათვის რვა საათის სამუშაო დრო იყო მიღებული,** მაგრამ თანდათან გამგეობამ მოუსპო და ამ ჟამად მხოლოდ აღდგენა იყო ამ უფლებისა და არა გამგეობის კეთილი განზრახვა, როგორც ბ. გაბაშვილი აღნიშნავს.

შეცდომის გასწორება.

საზ. „კახეთში" მომხდარ გაფიცვის შესახებ წერილის პირველ ნაწილში შემდეგი კორექტურული შეცდომებია დაშვებული:

სწერია: 1) ტფილისის ტრამვაიზე ხელფასის გაზრდა 13 **პროცენტით**— უნდა იყოს: 130 **პროც.**

2) უფროს მუშას ჩვენთან ას **თუთხმეტი მ. აქვს**—გამოტოვებულია „**უკანასკნელი მომატებით**"

3) კასის გამგეობამ „**ვერ შეკრიბა ცნობები**"—უნდა იყოს—„**ჯერ შეაკრიბა.**"

4) მოსამსახურეთა ჯამაგირების ცხრილში „რვა **ვედრო ღვინის ფასი**" არეულია ციფრები—უნდა იყოს: რვა ვედრო ღვინის ფასი—ვედრო 3 მ. 60 კ. სულ 28 მან. და ეს 28 მ. უნდა მიემატოს ცხრის პირველს რიგს.

რუსეთის ამბები

— თ-დ გოლიცინის თავმჯდომარეობით გაიმართა საფინანსო ბჭობა სავაჭრო ფლოტის გაძლიერების შესახებ. იყო რამდენიმე ფირმის წინადადება, სხვათა შორის, „ვაჭრისა და გემთა რუსის საზოგადოებისა." თათბირმა გადასწყვიტა, წინადადებანი ერთმანეთის მოქიშპედ ვერ ჩაითვლება, თუ სასარგებლოდ აღვიარებთ სახელმწიფოსათვის, შეგვიძლიან ყველანი მივიღოთო.

— ობერ-პროკურორმა რაევმა სადაც ჯერ არს წინადადება შეიტანა: სამღვდელო პირებს ნება მიეცეთ მესამე კლასის ბილეთით მეორეში იმგზავრონო. როგორც კრიგერვოინოვსკის უთქვამს, ეს საკითხი მალე გადასწყდება და რაევის წინადადებას მიიღებენ.

— მოსკოვში მოკავშირეთა წარმომადგენლების ჩასვლამ დიდი სიცოცხლე გამოიწვია. ვაჭართა საზოგადოების მამასახლისმა ბიურიშკინმა, სხვათა შორის აღნიშნა, სტრატეგიული ომი რომ გათავდება, დაიწყება ომი საეკონომიო, ამისათვის ეხლავე უნდა მოვემზადოთო, თუ ერთობა გვექნება, ჩვენ შეგვიძლიან გერმანიის ეკონომიურად დამარცხებაო. ჩელნოკოვმა ილაპარაკა, თუ რა დიდი როლი ითამაშეს ამ ომში საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა. დუმერგმა ყველას საპასუხოდ ილაპარაკა და აღნიშნა: რუსეთმა უნდა მოიპოვოს თავისუფალი გამოსავალი ზღვისაკენ და კონსტანტინოპოლი რუსის ცაგრადად უნდა გადაიქცესო. პეტროგრადის კონფერენციის შემდეგ გამარჯვების რიჟრაჟი მოახლოვებულია. ბრიტანელთა კლუბში მილნერმა ილაპარაკა გერმანელთა ცილისწამების შესახებ. ტყუილია; ვითომ ინგლისი არა სცდილობდეს ყოველგვარ მსხვერპლის გაღებას, ან შესაფერისად არ აფასებდეს რუსეთის მიერ გაწეულ მსხვერპლს. ინგლისელები ქედს იხრიან არა მარტო რუსის მთავრობის მუშაობის წინაშე, არამედ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტთა მოღვაწეობის წინაშეც. დეპუტატმა მაკლაკოვმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ახლანდელ ომის წარმოება ბრძანებით არ შეიძლება, რუსის ხალხი—პრინციპიალური მოწინააღმდეგეა ომისა, მაგრამ მან სცნო მისი აუცილებლობა და ყოველგვარი მსხვერპლი გაიღო. ვიდრე არსებობს რუსეთში ხალხის წარმომადგენლობა— ჩვენ სულით არ დავეცემით. ბოლოს მაკლაკოვმა მოუწოდა ყველა მოკავშირეს, ერთმანეთი კარგად გავიცნოთ, დავახლოვდეთო.

— ინგლისის მეფემ ჩელნოკოვს გიორგი მიხეილის ორდენი უბოძა. ასეთი დაჯილდოვება იშვიათია.

— პურის ვაჭრობის ცენტრში, დონის-როსტოვში, საიდანაც სხვათა შორის ჩვენც მოგვქონდა პურის ფქვილი ამ ჟამად სრულიად არაა ფქვილი. გადაწყვეტილია პურზე საბარათო სისტემის შემოღება. ამისათვის კი საჭიროა სავალდებულო დადგენილების გამოცემა. ბარათებს ერთი თვის ვადა ექნებათ, ჩამოსულთათვის ერთი კვირისა. კაცზე გასცემენ 2 გირვანქა პურს დღეში, თითო ბავშვისათვის გირვანქა ნახევარს.

— გზათა სამინისტროს განკარგულებით ზოგიერთ რკინის გზებზე პირველ თებერვლიდან 14-მდე მიმოსვლა შესწყდება. მიმოსვლა უნდა შესწყდეს შვიდ გზაზე: მოსკოვ—კურსკის, მოსკოვ—კიევ—ვორონეჟის, ჩრდილოეთ-დონის, სამხრეთის, ეკატერინოსლავის, რიაზან-ურალის და სამხრეთ-აღმოსავლეთზე. სამხრეთ-დასავლეთის და ფრონტისაკენ მიმავალ გზებზე მიმოსვლა წინანდებულად იქნება. ზოგიერთ მთავარ პუნქტებს შორის დაწესებული იქნება პირდაპირ მიმავალი მატარებლები. მაგალითად: პეტროგრად—კავკასია, მოსკოვი—კავკასია, პეტროგრადი—სევასტოპოლი, მოსკოვი—სევასტოპოლი, მოსკოვი—კიევი, კიევი—ვორონეჟი. ეს ზომა მიღებულია, რათა ბარგის და სურსათ სანოვაგის გადაგადმოზიდვა გაძლიერდეს. მინისტრს, სხვათა შორის უთქვამს, ამისთანა ზომებს მომავალშიაც მივმართავთო.

— „რუსკოე სლოვო"-ს სიტყვით, პროტოპოპოვი განზრახავს სათათბიროს გლეხ დეპუტატების და ზომიერ ელემენტების მიმხრობა. ამისათვის იგი აპირებს თურმე პროექტის გაყვანას, რომლის ძალითაც დეპუტატებს ჯამაგირი ხუთჯერ მეტი ექნებათ, ვიდრე დღეს აქვთ.

დ ღ ე ს:

ახალი კლუბი. ქართული წარმოდ.

სახაზინო თეატრი. დილით მაზეპა, საღამოთი კამორა.

არტისტ. საზ. რუსული დრამა.

ხარფუხის კლუბი. სინემატოგრ. და ორკესტრი.

ძმ. ეფიმოვების ცირკი. საცირკო წარმოდგენა.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ჯორჯაძე.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის
მატარებლების მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

			ს. წ.	
ტფილისიდან გადის:				
ბათუმისაკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9,28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.18	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	9 „	დილ.
გორისკენ	სამგზ.	№ 5,	9.10	დილ.
ტფილისში მოდის:				
ბათუმიდან	სამგზ.	№ 10	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20.	7.48	დილ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	2.48	საღ.
გორიდან	სამგზ.	.	6.34	საღ.
თელავიდან	.	№ 3,	6.24	

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
11—12 ს. „606" და „914"
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული. (სიფილის ავადმყ.).
ბ. გრიგოლ ასხაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბეჩნამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ახაჯიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ი. ა. ნავასარდიანი. 1057

აუქციონი
ტფილისის საქალაქო ლომბარდი
საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 5 თებერვალს, დილის 10 საათზე ლომბარდის შენობაში
საჯაროდ გაიყიდება
ვადა-გასულ დაგირავებული ნივთები ძვირფასი ლითონისა, (თითოეული დაგირავ. ნივთი ღირს 120 მან. 2500 მან.) ქვები, საკერავი მანქანები, ხალიჩები შიგრინის ტყავი და სხვა. 53

თევზის მრეწველნი
ძმ. ძემველოვები
პუშკინის ქ., საკუთ. სახლი № 9, ტელეფ. № 712.
ყოველ დღე მოგვდის ახალი ქვირითის ხიზილალა, სრულებით ცოტა მარილიანი, შავი „მეშოჩნი" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შემაიები. მუდმივ გვაქვს ცოცხალი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. ხანგრძლივ ინახება. 1035

კაცობრიობის მტერი
დამარცხებულია!!
სუსუნატი მორჩენილია. დადგა სანატრელი დრო,
ბოლო მოეღო ტანჯვას.
სუსუნატი
ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება პირველ-ხარისხოვანი „გონოზანით" თავისი შესაზაპუნებლით და დასალევით. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ექიმებისა და პროფესორების მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.
ჩვენი გარანტია
თუ თანხმობით ან საჩქაროდ არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშუალებაა.
საშუალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. სუსუნატი გახლავთ ორნაირი ახალი და დაძველებული. ფასი ახალის სუსუნატის მოსარჩენი 22 მანეთი და დაძველებულის 35 მანეთი. ნახევარი კურსი გარე ქვეყნებში არ იგზავნება. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 5 მანეთის მიღების შემდეგ.
მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ რ. შმიდტ ტფილისი, ცხინვალის ქუჩა № 12. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მელიქოვის ქუჩის. 2 ნაწ.
Р. ШМИДТЪ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12. 2 уч. отд. 1—2.
პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. 1353

სუსუნატით (გონორეა)
ავადმყოფებს
რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდ ძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს", რომელიც სულ ცოტახანში არჩენს გაარჯღლებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისას, ჭაჭებისას და სხვ.
რატომ
ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება
იმიტომ რომ
ჯერ ერთი დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.
მეორედ იმიტომ, რომ მართლაც ძნელი ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა,
მაგრამ ყველა ავადმყოფებს, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს საშუალება „ურიტალი". სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა რომ
ურიტალი
ნამდვილად არჩენს სუსუნატს. სულ საჭიროა 6-დან 12 ფლაკონამდე თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ.
უფასოდ
გაეგზავნება ფოსტით დაწვრილებითი ბროშიურა, ვინც 10 კაპ. მარკას გამოგზავნის. შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ პარიზის ფარმაცევტ. ლაბორატორიის ტფილისის განყოფილებაში. ტფილისი, ლორის მელიქოვის ქ. № 16, ნაწ. 1—1. სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.
За заказами и справками обратиться въ Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорис-Меликовская № 16 отд—1—1. на противъ Государственнаго Банка.

Дозволено военной цензурой.

სტამბა „მართლი" შ. ი. ციციშვილისა. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. სემინარიის შენობა